[illegible] ᲛᲔᲡᲣᲗᲔ ᲤᲔᲚᲘᲤᲐᲚᲘ

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ
და ᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ᲪᲔᲜᲢᲠ.ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ
ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 24, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ
რედაქციაში საქმის ადგილის მოლაპარაკება შეიძლება ᲣᲙᲕᲔᲚᲓᲦᲔ
ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡᲐ 10—11 ს.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ (რედაქტორის 14—76 (დღეგანის 10—58
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤ. 3—43, ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 18—80.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 24 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 19—49.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲣᲨᲐ-ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ 1 მ. ᲙᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ—1 მ. 20 კ., ᲑᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ—1 მ. 50 კ. ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲝᲩᲘᲜᲘ—20 კ., ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ—25 კ. ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲐᲜᲘᲠᲘ—5 ᲛᲝᲜᲐᲗᲘ ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡᲐ 50 კ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1 ᲬᲚᲘᲗ 1 ᲛᲝᲜᲐᲗᲘ 75 კ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ
— ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲚᲔᲑᲐᲡ.
— 1-Ლ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ.
ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲜᲩᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.
ᲛᲔᲠᲔ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲓᲦᲔᲡᲙᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 24, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲣᲨᲐ-ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ 1 მ. ᲙᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ—1 მ. 20 კ., ᲑᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ—1 მ. 50 კ. ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲝᲩᲘᲜᲘ—20 კ., ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ—25 კ. ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲐᲜᲘᲠᲘ—5 ᲛᲝᲜᲐᲗᲘ ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡᲐ 50 კ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1 ᲬᲚᲘᲗ 1 ᲛᲝᲜᲐᲗᲘ 75 კ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. № 202 (1357)

ᲨᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 4 ᲡᲕᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1925 Წ.

ᲡᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენ ახლოვდებით აღორძინების პერიოდის დასასრულს,—სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის აღდგენა ახლო მომავალში მიაღწევს ომის წინანდელ დონეს. საამისო ფაქტიური მასალა ჩვენ თავის დროზე გვქონდა გამოქვეყნებული.

მაგრამ როდესაც ლაპარაკობდენ სახალხო მეურნეობის ზრდაზე, ბოლო დრომდე მხედველობაში იღებდენ ემიგრულად რაოდენობას, რიცხვს, ხოლო ნაკლები ყურადღება ექცეოდა რიოდუქციის თვისებას. რაც შეიძლება მეტი საქონლის დამზადება, მეტი ფაბრიკა-ქარხნების ამუშაევება; აქეთკენ იყო მეტნაწილად მიმართული ჩვენი მეცადინეობა.

ომისა და რევოლიუციის დროს ლენგრეფეი ეკონომიკა გვიკარნახებდა ბაზარზე დიდძალი პროდუქციის სასწრაფოდ გამოშვებას და მოსახლეობის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. ჩვენი წარმოებანი ტეხნიკურად მოუწყობელი იყო. კვალიფიციური მუშა ხელის სიმცირესაც განიცდიდით. ნედლეული მასალის ღირსებაც არ იყო მაღალი. ამავე დროს ჩვენს ამოცანას შეადგენდა ნაწარმოების გაიაფება, რათა იგი ხელმისაწვდომი ყოფილიყო მომხმარებელთა ფართე მასსისათვის. ასეთ პირობებში ბრეწველობის პროდუქცია თვისების მხრივ ზმირად ძალიან ოიკოლულდა. საქონლის რაოდენობის ზრდა და მისი გაიაფება რამ. ინიმდე თვისების ხარჯზე ხდებოდა.

ხანმეტი მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა პროდუქციის ხარისხ[illegible] ... საკითხი. ქვეყნის საერთო აღორძინების, მოსახლეობის ეთილდღეების აწევის ნიადაგზე შომხმარებელი მეტ მოთხოვნილებას უყენებს ბრეწველობას. თუ წინედ იგი მაინცდამაინც არ დაგიდევდა საქონლის ღირსებას, ოღონდ შეეძინა რაიმე,—რადგან მეტად გაჭირვებული იყო და ბეზურ გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიურ კრიზისს ანგარიშს უწევდა —ღეს სრულებით არ არის ასეთი მდგომარეობა. მომხმარებელი სასტიკად სინჯავს ყოველგვარ საქონელს და სამართლიანად მოითხოვს, რომ იყოს შემკული ყოველი ღირსებით. მას უნდა გამძლე და ლამაზი ფართდეული თუ ტყავეული შეიძინოს. იგი ითხოვს მკვიდრ და თავის მეურნეობისათვის გამოსადეგ იარაღებს და სხ. ასეთი მოთხოვნილება უღრესად დადებითი მოვლენაა და

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციური ნაწილი თავგამოდებით იბრძვის პროფკავშირების მთლიან ფრონტისათვის, საფრანგეთის მუშათა კლასს ამ საერთაშორისო ამოცანებთან ერთად დაუღალავ ბრძოლის წარმოება უხდება საკუთარი რიგების გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის.

არსად ისე დაქსაქსული და დაუცცაცებული არაა პროფესიონალური ორგანიზაციები, როგორც საფრანგეთში. აქ განსაკუთრებით ბრძოლა სწარმოებს ორ უდიდეს ორგანიზაციათა შორის, რომელთა დამოკიდებულებაშიც საფრანგეთის ბასტებით მეორდება ის, რასაც ადგილი აქვს საერთაშორისო პროფშრომრობის ასპარეზზე.

საფრანგეთის რევოლიციურ პროფკავშირებს, რომელიც გაერთიანებულია შრომის უნიტარულ კონფედერაციაში, დიდი ხნის არსებობის ისტორია არა აქვს. ის მხოლოდ ომის დასრულების მესამე წელს ბამეფეო ყვითელ სოციალიზმით დაკავებულ, იდეურად დაჩიავებულ საფრანგეთის პროფკავშირებს და აკეთარი გზით იწყო სვლა.

ამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში მის რიგებში დაირაზმა ოთხას ათასამდე მუშა და ამრიგად ამ თითქმის ორჯერ რიცხვობრივად წინ გაუსწრო ყვითელ დროშის ქვეშ დარჩენილ შრომის საყოველთაო კონფედერაციას.

ამ ორ მთავარ ბანაკს გარდა საფრანგეთში არის აგრეთვე ეგრეთწოდებული საფრანგეთის მოხელეთა ფედერაცია, რომელიც არც ერთ კონფედერაციაში არ შედის და დამოუკიდებელ ორგანიზაციათ მოაქვს თავი.

ანნაირად ბრძოლა საფრანგეთში ბანაურ მუშათა ფრონტის გასაერთიანებლად არის ამავე დროს ბრძოლა მუშათა საერთაშორისო მთლიანობისათვის. ცხადია, საფრანგეთის სოციალ-გამთიშველები ამ საქმისათვის თავს არ იტკივებენ და, პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ერთ ადგილ მუშათა გაერთიანებას, საფრანგეთის პროლეტარიატის ერთ დროშის ქვეშ დარაზმვას.

აქ ბრძოლის მთელი სიმძიმე უნიტარულ კონფედერაციას აწევს კისრად. როგორც ყოველთვის, საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელები აქაც ორპიროვან პოლიტიკას აწარმოებენ. მათ კიდეც სურთ და არც სურთ მთლიანობა. ისინი დეკლარაციებში, ოფიციალურ განცხადებებში ერთიან პროლეტარულ ფრონტის თავგამოდებული მებრძოლნი არიან, ხოლო კულისებში, სინამდვილეში ასეთიეე შეურიგებელი და თავგამოდებული მოწინააღმდეგე ამავე მთლიანობის.

ეს უკანასკნელი ხანია ორივე პროფესიონალური კონფედერაციის ყრილობა მიმდინარეობს პარიზში უნიტარულ კონფედერაციამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მთლიანობის საკითხი პირველ რიგში წამოაყენა და პირველმა მიმართა საყოველთაო კონფედერაციის კონგრესს წინადადებით, რომ მოწვეულიო ყოფილიყო საფრანგეთის ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციების გაერთიანებული ყრილობა ერთი ენის და სამეშვედო გეზის გამოსამუშავებლათ. საყოველთაო კონფედერაციამ ეს წინადადება დიპლომატიურათ წაყრუა.

მაგრამ რევოლიუციონური პროფკავშირები ამ ცდაზე არ შეჩერებულან. კონგრესის შეკრებისთანავე მათ აირჩიეს საგანგებო დელეგაცია საყოველთაო კონფედერაციასთან მოსალაპარაკებლათ მთლიანი ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

დიდი ყოყმანის შემდეგ ეს დელეგაცია მიიღო შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონგრესმა და გადასწყვიტა მასთან მოლაპარაკების წარმოება. დღეს ტელეგრაფმა უკვე მოიტანა ცნობა რა ნაყოფიც გამოიღეს ყვითელ სოციალიზმის მოლალატურ ჯიუტობის დასაძლევათ გადადგმულ ენერგიულ ნაბიჯებმა.

„წინადადება, რომელიც შემოტანილია შრომის უნიტარულ კონფედერაციის მიერ, ამბობს საყოველთაო კონფედერაციის რეზოლიუცია, არაა გულწრფელი და სრულიად არ ეხამება უნიტარისტების კონფედერალისტებისადმი ჩვეულებრივ დამოკიდებულებას“.

„ამიტომ შრომის საყოველთაო კონფედერაციამ უნდა უარჰყოს წინადადება ყველა კონფედერაციების მოწვევის მთლიანობის საკითხის შესახებ“.

ბალღისათვისაც ცხადია ის თეორია ძალით ნაკერი პოლიტიკა, რომლითაც ფიქრობს ყვითელი სოციალიზმი თვალი აუხვიოს მუშათა კლასს და თავი უმწიკვლო რევოლიუციონერათ გაასაღოს. ახა, ვინ არ იცის, რომ მთელი ეს კომედია: უნიტარულ კონფედერაციის დელეგაციის მიღება, მთლიანობის შესახებ ლაპობა ამ მთლიანობის მზით ფიცი და შემდეგ ამ საქმის მოსაგვარებლათ მოსულ რწმუნებულებისათვის კარის გამოკეტვა მხოლოდ იმიტომ, ეასპირდათ საფრანგეთის სოციალ-გაიძვერებს, რომ თავი ამართლონ მუშათა კლასის წინაშე და ამ თვალთმაქცობით დროებით მაინც შეინარჩუნონ ის მასა, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობს მათ აზმორებულ ბანაკში ყოფნას.

მაგრამ ეს ფანდები დიდხან ვერ გამოადგებათ მუშათა კლასს მთლიანობის შინაურ მტრებს. ის ფაქტი, რომ შრომის უნიტარულ კონფედერაციამ სრულიად უმნიშვნელო დროის განმავლობაში შესძლო უძლიერეს პროფორგანიზაციად გადაქცევა და თვალსაჩინო ადგილი დაჭირა მუშათა მოძრაობაში, იმის საწინდარია, რომ საფრანგეთის მუშათა კლასს დაქსაქსულობა ყვითელ სოციალიზმის მოცილეულთა ნების წინააღმდეგ დიდხანს ვეღარ შეატანს. არც ისე შორსაა ის დრო, როცა საფრანგეთის პროლეტარიატი თავს დააღწევს არა მკითხ აპეკუნებს და ნახავს ერთ გზას და ხიდს შეერთებული ძალებით კაპიტალიზმის დასამხობად წინ წასასვლელად.

კომინტერნის დროშის ქვეშ მდგარ შრომის უნიტარული კონფედერაციაა ასე ადვილად არ დაყრის იარაღს სოციალ-გამთიშველებთან ბრძოლაში.

ᲘᲜ.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲘ

(ამერ-კავკასიის დეპეშათა საგანგებო ცნობები)

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 2 სექტემბერი. ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელმა ლონდონში განუცხადა „მორნინგ პოსტ“-ის თანამშრომელს, რომ უცხოეთის სახელმწიფოები ეჭვის თვალით არ უნდა უყურებდენ ჩინეთის სურვილს ეიიღოს საბაჟო ავტონომია, რადგან ჩინეთის მთავრობას ესმის უცხოეთის ვაჭრობის მნიშვნელობა ჩინეთისათვის და ამიტომ მას არ სურს ხელი შეუშალოს იმპორტს მაღალი ბაჟებას შემოღებით. საბაჟო ტარიფის პროექტი, რომელსაც იმუშავებს ჩინეთის მთავრობა, შეიცავს ზომიერ განაკვეთებს. პირველი მოთხოვნილების საგნებზე საბაჟო განაკვეთები ძალიან მცირეა. ზოგიერთი საქონელი უბაჟოდაც იქნება გაშვებული.

ᲙᲐᲠᲐᲮᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნიგა, 2 სექტემბერი. 1 სექტემბერს ჩიტაში ჩამოვიდა კარახანი, რომელმაც „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა, რომ საბაჟო კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი არ მიიღებს მონაწილეობას. მონაწილეობის მიღება ეწინააღმდეგება იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებს, რადგან იგი განამტკიცებდა ჩინეთის ხალხის პოზიციას. ეს კონფერენცია არავითარ არსებით გაუმჯობესებას არ მოუტანს ჩინეთის ხალხს.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ

პეკინი, 2 სექტემბერი. კანტონის საგაფიცვო კომიტეტმა დაადგინა შეწყვეტოს გაფიცვა და ბოიკოტი ყველა უცხოელების მიმართ, გარდა ინგლისელებისა და იმ უცხოელების, რომლებიც სცხოვრობენ შამინის უბანში.

ᲑᲝᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲤᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

პეკინი, 2 სექტემბერი. პეკინში არსებულმა გომინდანის კლუბმა, რომელიც აერთიანებს პარტიის მემარჯვენე წევრებს, გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც ის სცდილობს სახელი გაუტეხოს კანტონის მთავრობას და გომინდანის აღმასკომს და ამტკიცებს, თითქოს ისინი იმყოფებიან კომუნისტების ზონტროლის ქვეშ.

მანიფესტი მოუწოდებს პარტიის წევრებს გაერთიანდენ კომუნისტების წინააღმდეგ და განდევნონ „წითელ გადამდები სენი“ კანტონიდან.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲜᲝᲢᲐ

პეკინი, 2 სექტემბერი. იაპონიის საელჩომ გადასცა პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრს და კანტონის ხელისუფლებას საპროტესტო ნოტა კანტონში ამასწინად მოხდარ ინციდენტის გამო, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩინეთის სამხედრო რაზმმა ღამით სროლა აუტეხა იაპონიის გემს და მოჰკლა სამი მეზღვაური.

კანტონის მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა ამის გამო და განმარტა, რომ ინციდენტი მოხდა სიბნელის გამო.

ყველა ასე ფიქრობს, რომ იაპონია არ გაიზიადებს ინციდენტს.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲐ

პეკინი, 2 სექტემბერი. ჩინეთის წარმოებების მუშათა გაფიცვის გამო, შანხაის პროფკავშირთა საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აწერილია მუშების მძიმე მდგომარეობა.

„ჩინელმა მწარმოებლებმა—ნათქვამია მოწოდებაში—უნდა შეგნონ თავისი ნაციონალური მოვალეობა, მათ უნდა დააკმაყოფილონ მუშების მოთხოვნილებები და იცნონ პროფკავშირები, რომ მუშებს აღარ დასჭირდეთ შემდეგშიაც გაფიცვებისათვის მიმართვა.“

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲯᲕᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

პეკინი, 2 სექტ. შანხაის სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიმართეს პროფკავშირთა საბჭოს წერილით, რომელშიაც ურჩევენ ქალაქის ელექტრო-სადგურის მუშებს ყოველგვარ პირობის გარეშე განაახლონ მუშაობა.

პროფკავშირთა საბჭომ უპასუხა, რომ გაფიცვა ატარებს ეროვნული ბრძოლის ხასიათს, მაგრამ, ღებულობს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გაფიცვა ზიანს აყენებს ჩინეთის წარმოებასაც, პროფსაბჭო თანახმაა შესწყვიტოს გაფიცვა შემდეგ პირობებში: არაკითარ დაკანონის მოთავრობის ფინანსთა კომისარი, გომინდანის მემარცხენე ფრთის მეთაური, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ მოპკლეს კანტონში ინგლისელ იმპერიალისტების აგენტებმა.

თხოვნას ადგილი არ ექნეს, გასტუმრებული იქნეს გაფიცვის დღეების ხელფასი და ცნობილი იქნენ პროფკავშირები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

პეკინი, 2 სექტ. ᲨᲐᲜᲮᲐᲘ-ᲜᲐᲜᲯᲘᲜᲘᲡ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა წარუდგინეს ადმინისტრაციას მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის მომატების, 8 საათის სამუშაო დღის შემოღების, ზედმეტი ნამუშევარის გასტუმრების, შვებულების და უფრო ბილეთების მიცემის შესახებ.

ჩინეთის ტელეგრაფის ადმინისტრატორულმა პერსონალმა წარადგინა მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის მომატების, 8 საათის სამუშაო დღის შემოღების, ზედმეტი ნამუშევარის გასტუმრების და შვებულების მიცემის შესახებ. ტელეგრაფის ადმინისტრაციამ მიიღო ყველა მოთხოვნილებები.

ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲥᲐᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲬᲓᲔᲕᲐᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲗᲐᲜ

პეკინი, 2 სექტემბერი. დამთავრდა ჩინელ მუშების გაფიცვა იაპონიის სიფეიქრო წარმოებებში და გემებზე, სადაც მუშები შეუთანხმდენ მეპატრონეებს. ამის გამო იაპონელები—ლითონის ქარხნების მეპატრონეები ჩქარობენ შეთანხმების დადებას იმავე საფუძველზე; მრავალ წარმოებებში გაფიცვები უკვე დამთავრდა.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 2 სექტემბერი. გაზეთი „ფინანშიელ ტაიმსი“ აქვეყნებს ინგლისის კომერსანტებსა და მრეწველებს შორის ჩატარებულ ანკეტების შედეგს იმის შესახებ, თუ როგორ უყურიან ისინი ინგლისის ბანკების ძიერ საბჭოთა კავშირისადმი სესხის მიცემაზე უარის თქმას. გაზეთის სიტყვით, მრეწველები საეთოოო ფიქრობენ, რომ ბანკები კარგად მოიქცენ, რადგან საეჭვოა ნდობით მოპყრობა საბჭოთა კავშირისადმი.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 2 სექტემბერი. ყველა გაზეთებმა დაბეჭდეს ცნობა იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც დასდეს საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენლებმა ლანკაშირის ორ ფირმასთან საბჭოთა კავშირის საფეიქრო ფაბრიკების მოწყობილობათა შესყიდვაზე.

ᲞᲠᲝᲤᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲑ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

პარიზი, 2 სექტემბერი. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობის მეოთხე სხდომაზე რეზოლიუციების შემშუშავებელმა კომისიამ წარმოადგინა კომისიის მიერ ერთხმად მოწონებული რეზოლიუცია მთლიანობის საკითხის შესახებ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „მთლიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი არ ექნება აოვითარ ქვენა აზრებს და იქნება მტკიცე ნებისყოფა გაერთიანებულ მოქმედებისათვის“.

„ყინიდადება,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—წარმოდგენილი უნიტარულ კონფედერაციის მიერ, არ არის გულწრფელი და ის საეჭვით შეეფერება უნიტარისტების ჩვეულებრივ დამოკიდებულების კონფედერალისტებისადმი. ამიტომ შრომის საყოველთაო კონფედერაციამ უნდა უარყოს წინადადება, რომელიც ძალითხოვს ყველა კონფედერაციების კონგრესის მოწვევას მთლიანობის საკითხის შესახებ“.

მეორე რეზოლიუცია, რომელიც წარმოადგინა უმცირესობამ, ეხება მთლიანობას.

ᲓᲐᲛᲝᲜᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲐᲨᲘ

ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ „ᲑᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ“

ვენა, 2 სექტემბერი. სამხრეთ-ბუსარაბიის აჯანყებულ გლეხებს პროცესზე დამცველმა ერთხმად განაცხადეს პროტესტი დამცველთა კანონიერ უფლებების შეზღუდვის გამო. დამცველები აღნიშნავენ, რომ მათ არ შეუძლიათ წარმოადგინონ მიმდინარე პროცესზე ყველა საჭირო მასალები, რადგან სასამართლო საიდუმლოდ ინახავდა პროცესის დაწყების ვადას და საშუალებას არ აძლევდა დამცველებს თავის დროზე გასცნობოდენ საქმეს.

დამცველთა საპასუხოდ სამხედრო პროკურორმა განაცხადა, რომ მაგალითი უნდა იქნეს აღებული ბულგარეთის იუსტიციისაგან, რომელმაც კომუნისტების პროცესი „დამთავრა“ 4 დღის განმავლობაში.

სასამართლომ უარყო შუამდგომლობა პროცესის გადადების შესახებ და შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

გაზეთი „დიმინიატა“ იტყობინება, რომ პროცესი დაიწყო სრული არევ-დარევის პირობებში. წინასწარი გამოძიება დამთავრებულია მხოლოდ 235 ბრალდებულის მიმართ. 127 ბრალდებულის მიმართ არა თუ არ არის დამთავრებული ძიება, არამედ ფქმებიც არ არის წარდგენილი.

ᲡᲘᲛᲨᲘᲚᲘ, ᲮᲝᲚᲔᲠᲐ, ᲡᲘᲑᲘᲜᲓᲣᲠᲘ

ვენა, 2 სექტ. გაზეთი „ადეკვატული“ ბეჭდავს ბესარაბიის საქმეთა ყოფილ მინისტრის, ნაციონალური პარტიის წევრის ბაგოშის წერილს ბრატიანუსადმი, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ ბესარაბიაში გამეფებულმა ტერორმა გამოიწვია არა მარტო რუს და უკრაინელ, არამედ აგრეთვე რუმინელ გლეხების ემიგრაცია.

გლეხთა პარტიის დეპუტატი, ბესარაბიელი კაზლოკოუც ამავარად ასწერს ბესარაბიის მდგომარეობას. სოროკის რაიონში ყოველდღე კვდება 20—30 გლეხი სიმშილობისა და ხოლერისაგან. კაზაკლიუ აღნიშნავს, რომ, მოსახლეობას არ აქვს საკმაო ხურსათ-სანოვაგე, რაც გამოწვეულია ხელისუფლების ოინებით. კაზაკლიუ აღნიშნავს აგრეთვე, რომ სანიტარია ბესარაბიაში არ გასულებია პირველყოფილ მდგომარეობას.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ბრესლავლი, 2 სექტემბერი. პროფესორები გერსბერგი და ეკკელი თავიანთ მოსსენებებში ებღაუჭებიან „სამეურნეო დემოკრატიას“ და ილაშქრებენ კომუნისტურ პროპაგანდის წინააღმდეგ.

ტარნოვი აღიარებს პროფმოძრაობის შესუსტებას და მოუწოდებს ყრილობას „აბალი რწმენისაკენ“.

ყველა ორატორები მოითხოვენ სამეურნეო დემოკრატიის განხორციელებას.

ოპოზიციის წარმომადგენელი გალმი ილაშქრებს ამ ლოზუნგების წინააღმდეგ და წინასარმეტყველებს, რომ ასეთი დემოკრატიის განხორციელების დროს პროფკავშირების როლი უმნიშვნელო გახდება. ორატორი აღნიშნავს: „როგორც დამარცხდა პოლიტიკური დემოკრატია, ისევე დამარცხდება სამეურნეო დემოკრატიაც“. „სამეურნეო დემოკრატიის“ ლოზუნგი, გალმის სიტყვით, წარმოადგენს ბურუჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკის გაგრძელებას.

რუსეთის მაგალითით გალმი აბათილებს რეფორმისტების არგუმენტს, „რომ მუშებს არ შეუძლიათ მართვა-გამგეობა ბურუჟუაზიის დაუხმარებლად“. გალმი აცხადებს, რომ სამეურნეო პოლიტიკის საკითხში ის მხარს უჭერს საბჭოთა სისტემას.

მეურნეობის მინისტრი შმიდტი პესიმისტურად უცქერის სამეურნეო დემოკრატიის განხორციელების საქმეს, მაგრამ აცხადებს, რომ მუშებმა მიერ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება სასურველი არ არის განადგურებულ მეურნეობის პირობებში.

ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ 14-ისა ყრილობამ მიიღო დისმანის რეზოლიუცია „სამეურნეო დემოკრატიის“. შესახებ.

ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა

ამხ. ტროცკის მოხსენება

მოსკოვი, 3 სექტემბერი. ხარკოვის ქარხნის „ელექტროსილა“-ს მუშების საერთო კრებაზე **ამხ. ტროცკიმ** მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘ.

ტროცკიმ ციფრებით დაასაბუთა ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ზრდა განცხადა:

„ეს ზრდა მაჩვენებელია ჩვენი მტკიცე მდგომარეობისა საერთაშორისო ასპარეზზე. მბოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უშედეგოთ დამთავრდა ჩემბერლენის ცდები ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის მოწყობისა.

ჩემბერლენის გეგმის ჩაშლის მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ პროლეტარიატის სულიერ განწყობილებაში. ჩემბერლენი იძულებული არიან განგრიში გაეწიონ ამ სულიერ განწყობილებას. როცა მეორე მიზეზზე ელაპარაკობთ, ჩვენ უნდა შეჩერდეთ საკითხზე ევროპაში რევოლიუციის შესახებ. ბევრი შეიპყრო ეტვამ და ფიქრობს: ოდესმე მაინც თუ მოხდება რევოლიუცია დასავლეთში.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲘᲜᲯᲕᲘᲜᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲐᲨᲘ.

რევოლიუცია ევროპაში მიდის უფრო ნელა, ვინემ ჩვენ გვინდოდა. პროლეტარიატს იქ ხდება უფრო ძლიერი და შეკავშირებული მტერი. ამიტომ მუშათა კლასს უფრო უძნელდება თავისი ბურჟუაზიის დაძლევა, ვინემ ჩვენ. ამით აიხსნება რევოლიუციის დაგვიანება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲕᲔᲚᲘ.

ევროპის პროლეტარიატი დიდ ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. ჩვენ ვნახეთ ჩვენში მრავალი მუშათა დელეგაციები, რომლებიც ეცნობოდენ ჩვენს მეუონეობას და ქვეყნის მდგომარეობას. ეს მათი ჩამოსვლა არის დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტი. როცა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მუშა უამბობს თავისი ქარხნის მუშებს სრულ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ, ეს ქარხანა იქცევა ჩვენს საუკეთესო დასაყრდენად ევროპაში ყოველგვარ ჩემბერლენების წინააღმდეგ.

ჩვენ ვხედავთ ახალ მასიურ პროპაგანდას ჩვენს სასარგებლოდ, რომელსაც აწყობს თვით ევროპის პროლეტარიატი. თვითეული ჩვენი წარმატება, თვითეული ჩვენი მიღწევა აძლიერებს მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონურ სულიერ განწყობილებას. ევროპის მუშათ თანდათან ემატება იმედი როგორც თავისი ისე ჩვენი ძალების“.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲔᲑᲚᲝᲑᲐ

დასასრულ ტროცკი გადადის დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის საკითხზე და ამბობს:

დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის აგება ძალიან დიდი ამოცანაა და ჩვენ არ შეგვიძლია ასე ხელაღებით შეუდგეთ მას. მის აგებას ჩვენ შეუდგებით მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერს მოვაგვარებთ. ჯეგირის და ელექტრონის სადგურის მოწყობას ესაჭიროება 130 მილ. მანეთი, მაგრამ ჩვენ უნდა გავაფართოვოდ დნეპრის რაიონში მდებარე ქარხნები და აგრეთვე ავაგოთ ახლები. უნდა შეეძლათ მრეწველობის უდიდესი ტუტი მთელი იმ ელექტროენერგიის ჩასაყლაპავად, როშელსაც მოგვცემს „დნეპროსტროი“.

მთელი „დნეპროსტროი“, თუ განვახორციელეთ პროექტი, დაჯდება 400 მილ. მანეთი. ამიტომ უმჯობესია კიდევ ერთი წელიწადი მოვახმაროთ შემოწმებას.

ტროცკის სიტყვა იფარება „ვაშა“-ს ძახილით.

ერთხმად მიღებულ რეზოლიციაში მუშები ფიცს სდებენ, რომ ყოველი ძალ-ღონეს მოახმარებენ მეურნეობის აღორძინებას და „დნეპროსტროი“-ს მოწყობას მუშები სთხოვენ ტროცკის გადასცეს ცენტრალურ მთავრობას თხოვნა, რომ ხარკოვთან გადასწყის დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის აგების საკითხი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲐᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲡᲘᲠᲘᲐ

მოსკოვი, 3 სექ. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს სრულიად რუსეთის ცაკის 12-ე მოწვევის სესია მოსკოვში 1 ოქტომბრისათვის.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲐᲮᲛ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ

ხარკოვი, 3 სექ. 2 სექტემბერს ხარკოვში ჩასულმა ტროცკიმ ინახულა ქარხანა საერთო ელექტრონის კომპანიისა, სადაც ქონდა ხანგრძლივი საუბარი დირექტორთან და ქარხნის ინჟენერთან.

ტროცკიმ ყურადღებით დაათვალიერა მთელი ქარხანა.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ ტროცკი გაემგზავრა სრულიად უკრაინის ცაკში, სადაც შეხვდა უკრაინის მთავრობის წევრების თათბირი, რომელზედაც მან გააკეთა მოხსენება „დნეპროსტროი“-ს შესახებ.

ᲐᲛᲮ. Ე. Მ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ

სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარის და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ყოფ. მოადგილე, ტრეტ „მოხსუკნო“-ს თავმჯდომარე, რომელიც ტრადიციულად დაიღუპა ამერიკაში.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ 200 ᲬᲚ. ᲗᲐᲕᲘ

ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ლენინგრადი, 3 სექტ. აკადემიკოსმა ოლდენბურგმა მიიღო იტალიიდან გორკის წერილი, რომელშიაც უკანასკნელი სწერს, რომ ის აღფრთოვანებულია სამეცნიერო აკადემიის საიუბილეო დღესასწაულზე მიწვევით, მაგრამ, სამწუხაროთ, არ შეუძლია ჩასვლა ლენინგრადში, ვინაიდან ის გატაცებულია დიდ ნაწარმოებზე მუშაობით, და ამ მუშაობის შეწყვეტა არ შეუძლია რამდენიმე დღითაც კი.

ᲡᲚᲐᲒᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

ლონდონი, 2 სექტ. მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა ხოდდიმ საქავშირო დელეგაციათა საგენტოს კორესპონდენტს გადასცა მისალმება საქავშირო აკადემიის ორასი წლისათვის დღესასწაულის გამო. ოსლბერგმა იმედი გამოსთქვა, რომ უფრო გამოცოცხლდება დამოკიდებულება საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს შორის და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიამ თავისთავზე უნდა აიღოს ინიციატივა ამ ურთიერთობის ფამოცოცხლების საქმეში.

კულტურული კავშირი აღმოსავლეთთან

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 3 სექ. სახალ. განათ. კომისარიატმა წინადა ება მისცა ᲣᲙᲚᲐ თ�ᲗᲐ განყოფილებებს შეუდგნ აღმოსაკლეთის ერებთან კულტურულ კავშირის გეგმის განხორციელებას.

გეგმის მთავარ მომენტებს შეადგენს: ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლა, პედაგოგიურ დარგის მუშაკთა უწყალო გავლენა, საბჭოთა საბავშვო ბაღების და სკოლების გახსნა აღმოსავლეთის მთავარ პუნქტებში. განზრახულია აგრეთვე სპარსეთში და ოსმალეთში გაიგზავნოს სახ განათ. კომისარიატის სანიმუშო დაწესებულებათა წარმომადგენლების ეს კურსია.

ყველა ღონისძიებებს საფუძვლიდ უდევს სახ. განათ. საქმის ზედმიწევნითი შესწავლა საბჭოთა კავშირის მეცნიერებას. „უნდა ვიქონიოთ იმედი,—დასძინა მან,—რომ ჭეშმარიტების მხურვალე ძიებით გატაცებული აკადემია ძველებურათ იბრძოლებს უვიცობისა და ანგარების წინააღმდეგ“.

ᲐᲕᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ.

ნიუ-იორკი, 2 სექტ. გამოჩენილმა ამერიკელმა ბიოქიმიკოსმა, სტანფორდის უნივერსიტეტთან არსებულ საკვებ ნივთიერებათა გამომკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა კარლ ოლსბერგმა გადასცა საკავშირო დელეგაციის საგენტოს კორესპონდენტს მისალმება საქავშირო აკადემიის ორასი წლისათვის დღესასწაულის გამო. ოლსბერგმა იმედი გამოსთქვა, რომ უფრო გამოცოცხლდება დამოკიდებულება საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს შორის და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიამ თავისთავზე უნდა აიღოს ინიციატივა ამ ურთიერთობის ფამოცოცხლების საქმეში.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

მოსკოვი, 3 სექტ. წითელი არმიის ნომავალი მანევრების შესახებ სარწმუნო წყაროებიდან საკავშირო დეპეშათა საგენტოს კორესპონდენტს აცნობებს შემდეგი:

მომავალი მანევრები გასულ წლების მანევრებისაგან უმთავრესად განსხვავდება მით, რომ ეს მანევრები ოპერატიულ-სამხედროვანი მიზნებთან ერთად ამოცანად ისახავს წითელი არმიის საომარ ძალიერების ყოველმხრივ შემოწმებას. მომავალ მანევრებში ნაწილობრივ მონაწილეობას მიიღებენ ავრეთვე ტერიტორიალური ნაწილებიც. ეს იქნება წითელი არმიის ორგანიზაციული წყობის და ტერიტორიალურ ნაწილების სიმტკიცის და ბრძოლის უნარიანობის ახალი სერიოზული შემოწმება.

მანევრების დროს შემოწმებული იქნება ის ცოდნა და საერთო მომზადება, რომელიც მიიღეს წითელარმიელებმა ნორმალური გეგმიანი სწავლის პროცესში.

მანევრების წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა დახმარება მოსახლეობის მხრივაც, რისთვისაც მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მოვალეობაა განუმარტონ მოსახლეობას მანევრების მნიშვნელობა. გზადაგზა განთავსებული უნდა იქნეს სამხედრო პროპაგანდის საერთო საკითხები და აგრეთვე ის მომენტები, რომელიც დაკავშირებულია იმ ნიშანიერი ზარალის ანაზღაურებასთან, რომელსაც მიაყენებს მოსახლეობას მანევრები.

Ა.-Კ. ᲤᲘᲦᲠᲘᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲮᲐᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲗᲐ ᲨᲔᲢᲙᲐᲕᲘᲡᲐ.

ბათომი, 3 სექტემბერი. ამ დღეებში ბათომიდან 35 ვერსის დაშორებით, ოსმალეთის საზღვრის ახლოს, ბანდიტთა ერთი ბრბო თავს დაესხა მეორეს. ერთ ამ ბრბოთაგანს, 15 კაცის შემადგენლობით, გაჰქონდა კონტრაბანდა. მეორე ბრბო 6 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა მეორეს გაძარცვის მიზნით. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულია რამდენიმე ბანდიტი ერთი და მეორე მხრიდანაც.

ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲘᲡᲐ.

ბათომი, 3 სექტემბერი. 31 აგვისტოს ბანაობის დროს ზღვაში დაიღუბა 8 ეკსკურსანტი, ლენინგრადიდან ჩამოსული.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲠᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ.

ბათომი, 3 სექტ. ბათომში მოელიან ოსმალეთის მცურავ გამოფენას, რომელიც მოწყობილი იქნა გეგმ „კარა-დენიზზე“. გამოფენას დიდ მნიშვნელობას აძლევენ საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის საგარეო დამოკიდებულების განმტკიცებისათვის. ბათომიდან გემი გაემგზავრება ნოვოროსიისკში და შავი ზღვის სხვა ნავთსადგურებში.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲒᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ბაქო, 3 სექტ. 1 სექტემბერს საღამოს კომუნისტური აღზრდის სახლში მასწავლებელთა დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა საღამო.

დელეგაციას მიესალმა პიონერი ქალი ნაჯაროვა, რომელმაც ხთხოვა დელეგაციის თავმჯდომარეს დაკანონებულ გადასცეს სალამი საფრანგეთის, ბელგიის და გერმანიის ბავშვებს.

საპასუხო სიტყვაში დაკანონებულმა მადლობა გადაუხადა გულითადი მადლობისათვის.

დაკანონებულ მოუწოდებს ბავშვებს ახსოვდეთ, რომ მათი მშობლები სცხოვრობდენ პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩაგვრის პირობებში და რევოლიუციის ყველა მონაპოვარი უნდა შეინარჩუნონ ახალმა თაობამ.

დაკანონებულ ირჩევენ საპატიო პიონერად. უკანასკნელი აღუთქვამს პიონერებს, რომ სამუდამოდ შეინახავს ყოველ ყელსახვევს, როგორც საუკეთესო მოგონებას.

შემდეგ ტრენერი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ ევროპაში ჩაგვრას ბავშვებიც კი გრძნობენ. ტრენერიც არჩეული იქნა საპატიო პიონერად.

შემდეგ პიონერების და კომკავშირელების ძალებით გაიმართა წარმოდგენა თეატრულ ენაზე.

ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ბაქო, 3 სექტ. 1 სექტემბერს მასწავლებელთა დელეგაციამ ინახულა დამზღვევი სალარო, სადაც დაწვრილებით გაეცნო მუშების დაზღვევის საქმეს.

სადილის შემდეგ დელეგატებმა დათვალიერეს აზერბეიჯანის ისტორიული ადგილები ციხე „ქალიშვილის კოშკი“, ხანის სასახლე და სხვ. ისინი ძალიან დაინტერესდენ აზერბეიჯანის წარსულით.

დელეგატების ერთმა ჯგუფმა დათვალიერა ნარიმანოვის სახელობის თურქული ტეხნიკუმი.

დელეგატებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა სბაბეშო ბაღის ნახვამ. ბელგიელმა დელეგატმა მიფოფრინ შემოიკრიბა თავის გარშემო ბავშვები და დაიწყო მათთან თამაშობა.

დელეგატები გაეცვნენ ოგრეთვე ბაქოს კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

დღეს, 4 ᲐᲒᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ც. ს. კომისიის შენობაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული) დანიშნულია

ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲛ. ᲞᲐᲠᲢ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

დახᲬრება ᲧᲕᲔᲚ ● ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲐ

ც. ს. კ. თავმჯდომარე: Ა. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ შესდგება ს. კ. პ. (ბ) სამაზრო ᲗᲚ საოლქო კომიტეტების საგაგიტაციო-საპრობაგანდო საგანგებო თათბირი, რომელიც ადგილებიდან მიღებულ გამოცდილების სრული შესწავლით განისილავს მუშაობის მორიგ ამოცანებს და დასახავს ახალ ლონისძიებებს ამ ამოცანების განხორციელებისათვის. მაგრამ თათბირის მუშაობამ რომ გამოიღოს თავისი ნაყოფი, ამისათვის საჭიროა თათბირის დღის წესრიგში დასმული საკითხები წინასწარ შესწავლილი იქნ თათბირის თვითეულ მონაწილეთაგან.

თათბირზე უმთავრეს საკითხად მიჩნეულია სოფლად პარტგანმანათლებელ მუშაობის გაძლიერება.

აქ არ შეიძლება ბაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ დარგში მუშაობა სუსტათ არ იყვეს დაყენებული იმასთან შედარებით, რაც ამ სფერაში არის შესასრულებელი. რასაკვირველია, ამისი მიზეზი უნდა ვეძიოთ საერთოდ და უმთავრესად კი სოფლის ჩამორჩენილობაში.

საპროპაგანდო მუშაობის მორიგი და გადაუდებელი ამოცანა სწორედ მასში მდგომარეობს, რომ თანამედროვე სოფლის კულტურული ცხოვრება ჩქარი ნაბიჯით წინ წავსწოთ.

ამ მიმართულებით პარტმუშაობის გაჩაღების, პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტიის წევრთა კულტურულ და პოლიტიკურ მომზადების დონის ამაღლება. ამის გარეშე შეუძლებელია ადგილობრივ პარტორგანიზაციების მიერ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებსაც აყენებს მათ წინაშე სოფლად მუშაობის ახალი კურსი. მაშასადამე, საგაგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ძირითადი საკითხი მდგომარეობს ერთის მხრივ პარტიის წევრთა მეტ მომზადებაში, ხოლო მეორე მხრივ კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის გაძლიერებაში, საერთოდ სოფლის მშრომელ მოსახლეობაში.

ეხლა შეეჩერდეთ თათბირის დღის წესრიგზე დასმულ საკითხების განხილვაზე იმის აღნიშვნით, თუ რიგორი ღონისძიებანი უნდა იქნეს მიღებული ახლოსახლო დროის განმავლობაში და როგორ უნდა იქნეს თვით ეს მუშაობა დაყენებული.

1.

სოფლად პარტგანმანათლებელ მუშაობის ორგანიზაციული ქსელი სკოლების და კურსებისა დაარსებაში უნდა გამოიხატოს. ასეთი სკოლების რიცხვი საკმაო რაოდენობით მოიპოვება დღესაც, მაგრამ ისინი უმთავრეს შემთხვევაში ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. ამისი მიზეზი კი ის არის, რომ სკოლები და წრეები პროგრამით და მუშაობის მეთოდით ერთიმეორისაგან არაფრით არ განირჩევიან. განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაშია. ახლათანავე ერთად პროლეტწრეების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მას ვერ წვდება, ხოლო ასეთ მდგომარეობაში მყოფი პროლეტწრეები კი ერთ წერტილზე იყრებიან. პროლეტწრეები, მუშაობის ამ პერიოდში, რომელშიაც ვიმყოფებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეკმაყოფილებს ნაწილობრივადაც კი პარტორგანიზაციების მოთხოვნილებას. პარტიის მე-13-ე ყრილობამ პროლეტწრეებში პარტგანმანათლებელ მუშაობის პრიმიტიულ ფორმად და სიშიველად აღიარა. რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებში პროლეტწრეები ისეთი სახით, როგორიც უწინ არსებობდა და ჩვენში კი დღესაც არსებობს, შეცვლილი იქნენ მუშაობის უფრო ელასტიურ ფორმით. ეს ამ მხრივ ჩვენს თათბირზედაც ასე უნდა იქნეს დაყენებული საკითხი.

პროლეტწრეების არსებობის ლიკვიდაცია უნდა ეყოს.

რასაკვირველია, ეს არ შეიძლება მოხდეს ერთი სელის მოსმით, არამედ ნახევრად მკვდარი პროლეტწრეები თანდათანობით შეცვლილი უნდა იქნენ მუშაობის ისეთ ფორმით, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი არსებობის ნაყოფიერება. ისეთი სახის პროლეტწრეები, სადაც მეცადინეობა იწვიათ ხასიათის ატარებს, პირველ რიგში უნდა მოიხსნას. პროლეტწრეების დროებით დატოვება, სანამდის მუშაობის ახალი ორგანიზაციული ქსელი გაიშლებოდეს, შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იქ, სადაც მეცადინეობა დროგამოშვებით მაინც მიმდინარეობს. მახლობელ დროის განმავლობაში კი პროლეტწრეები სრულებით უნდა მოისპონ.

პარტგანმანათლებელ დარგში მომუშავე ამხანაგები არ უნდა იქნან გატაცებული წრეების და სკოლების რიცხვობრივად გადიდებით. რადგან ასეთი მდგომარეობა ყოველთვის იწვევს მუშაობის საერთო შესუსტებას.

არსებულ წრეების და სკოლების საერთო რიცხვიდან იმისი ნახევარი, რაც ეხლა არის ნაზეენები ადგილობრივ ორგანიზაციებიდან, რომ მუშაობის დაყენება შესაძლებელი ყოფილიყო ისე, როგორადაც ეს საერთოდ საჭიროა. მუშაობის კურსი იქითკენ უნდა იქნეს აღებული, რომ პარტგანმანათლებელ მუშაობის თითოეული მხარე გაუმჯობესდეს.

მაგრამ ეხლა ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ მუშაობის როგორი ფორმით უნდა შეიცვალოს პოლიტწრეები; პირველ ლყოველისა პოლიტ-ცოდნის მოძრავ სკოლებით. შემდეგ მოკლევადიან და ნორმალურ ტიპის პოლიტსკოლებით.

შეიძლება ითქვას, რომ უკვე საკმაო გამოცდილება გვაქვს პოლიტ-ცოდნის მოძრავ სკოლების მიღებულ მუშაობიდან. ცხადია, შედარება არ შეიძლება მუშაობის ამ ფორმასთან არა თუ პოლიტწრეების, არამედ მოკლევადიან და ნორმალურ ტიპის სკოლებთან. პოლიტცოდნის მოძრავი სკოლების შეცდენილობის დიდი ნაყოფიერება აიხსნება მუშაობის საერთო პირობებით. სოფლის კომუნისტებს არ აქვთ იმდენი კულტურული და პოლიტიკური მომზადება, რომ შეითვისონ ის ცნობები ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რასაც პოლიტწრის დროგამოშვებითი მეცადინეობიდან მიიღებდა. პოლიტწრის მორიგ მეცადინეობებს შორის ისეთი დიდი დრო გადიოდა, რომ წევრებს ავიწყდებოდათ ყველაფერი, რაც გასულ მეცადინეობიდან ჰქონდათ მიღებული. მეცადინეობის ასეთი მდგომარეობა კი არ იძლეოდა შესაძლებლობას მსმენელებისათვის მიღებულ ცოდნის მტკიცედ შეთვისებისა.

პოლიტცოდნის მოძრავი სკოლა ამ მხრივ დიდი უპირატესობით სარგებლობს. მოძრავ სკოლაში მეცადინეობა ყოველდღე, ან კვირაში სამხელ მიმდინარეობს, რაც შესაძლებლობას აძლევს მსმენელებს მიწოდებული მასალა შეითვისონ. მეცადინეობის რეგულიარული ხასიათი და სოფლის სინამდვილესთან შეთანხმებული პროგრამის გავლით პარტიის წევრები ღებულობენ კასიზიერულ ცოდნას და მტკიცედ ითვისებენ მას. ამიტომ პოლიტცოდნის მოძრავ სკოლებს სოფლის კომუნისტებისათვის ისეთი მნიშვნელობა ეძლევა, როგორიც, ვსთქვათ, საბჭოთა პარტიულ სკოლის პირველ საფეხურს. ეს გარემოება ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თათბირმა და მიუთითოს შესაფერ ღონისძიებებზე, რომელთა ცხოვრებაში გატარება შესაძლებლობას მოგვცემს პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების როგორც რიცხვობრივად, ისე თვისებრივად გაზრდისათვის ხელის შეწყობას. კერძოდ და უმთავრესად კი პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება. ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ ისეთი შეხედულება არ უნდა არსებობდეს, თითქოს მოძოავი სკოლა რაკი ცენტრიდან არის გაშოგზავნილი, ჩვენს ხელმძღვანელობას არ მოითხოვსო. ასეთი შეხედულება არაფრად ვარგა. ის მხოლოდ საქმეს ავნებს. ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები, მოძრავ სკოლას ისეთ ხელმძღვანელობას უნდა უწევდენ, როგორც საერთოდ სხვა მუშაობას. ეს ერთი. მეორეს მხრივ გადადებული უნდა იქნეს ასეთი სკოლების რიცხვი, რადგან ეს ისეთ შედეგებს კი არ მოგვცემს, როგორც პოლიტწრეების რიცხვის გადიდება იწვევდა, არამედ პარტაღმაზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას. ახლო მომავალში ადგილობრივი ორგანიზაციები ასეთი სკოლების ქსელით უნდა მოიფინონ.

ადგილობრივად პარტმუშაობის მნიშვნელოვანი ნაკლი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ისეთ რაიონულ და სამაზრო ცენტრში, სადაც პასუხისმგებელ მომუშავეთა საკმაო რიცხვი მოიპოვება, არ არსებობს არც ლენინიზმის და არც მარქსიზმის შემსწავლელი წრეები. ამის მიზეზად ზოგიერთნი იმ გარემოებას სთვლიან, რომ მომზადებული მომუშავეები დატვირთული არიან მუშაობით და ასეთი წრეების მეცადინეობის მოწყობა შეუძლებელი არისო. ასეთი საბუთები არ ამართლებენ ამ მდგომარეობას. რამდენადაც დატვირთული არ უნდა იყვნენ მომუშავეები, თუ კი ხელმძღვანელობა და მონდომება იქნება, შესაძლებელია და ამავე დროს აუცილებელიცაა ასეთი წრეების მუშაობა. გარდა ამისა აქ ისაც უნდა აღინიშნოს, რომ ლენინიზმის და მარქსისტული წრეები არ უნდა წარმოადგენდენ პარტგანმანათლებელ მუშაობის ისეთ ორგანიზაციას, სადაც მხოლოდ ერთ ხელმძღვანელისაგან ისმენენ მოხსენებას თუ ლექციას ამა თუ იმ საკითხზე. საჭიროა ასეთი წრეები მეცადინეობდენ ისე, რომ თითოეული მისი წევრი გამოდიოდეს მომზსენებლის როლში. ამისთვის კი აუცილებელია, რომ წრის წევრები მოიყვანოს მეცადინეობის პროგრამას წინასწარ ეცნობოდენ, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა მეცადინეობაში.

Ჯ. ᲯᲝᲠᲯᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲐ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ*)

ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

„ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲚ Ს.-ᲓᲔᲛ. ორგანიზაციაში წარმოიშვა ოპოზიცია, რომლის მეთაურად იყვნენ საქართველოდან გადმოსახლებული მუშები. ამის მიზეზი უმთავრესად გახლდათ ჩვენს პარტიაში გამეფებული უხეში ბიუროკრატიზმი ბ. ᲙᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐს მეთაურობით და ის სულისმხუთავი ზნეობრივი ტერორი, რომელიც გამეფეს ჩვენმა „ბატონებმა“ ჩვენზე უცხოეთში. ამას ზედ დაემატა ყველასათვის ეხლა ცნობილი ამბავი, რომ ბ-ᲠᲐᲨᲘᲜᲘ სავსე ჩვენი მეთაურები მიეკანებდენ პარტიას და ქართველ ხალხსაც ავანტიურისა და განადგურების გზით.

1923 წლიდან ოპოზიციონური განწყობილება პარტიაში თანდათან ძლიერდებოდა, თანდათან მტკიცდებოდა ოპოზიციის ხაზი და მისი იდეური საფუძველი, და დღეს ოპოზიციის მოთხოვნილებანი საკმაოდ კონკრეტიულადაა ჩამოყალიბებული: ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ანტი-საბჭოთა ელემენტებთან, უარყოფა ძველი, ცხოვრებისაგან უკვე უარყოფილი პოლიტიკის და გამონახვა ზეა—საბჭოთაან და რუსეთის ხალხთან შესარიგებლად.

მდგომარეობა უფრო გამწვავდა აჯანყების შემდეგ, როცა დამტკიცდა, რომ ამ საშინელ საქმის სულის ჩამდგმელი იყო უმთავრესად ჩვენი პარტია და მისი ბელადები... ჩვენი პარტია იყო და რჩება პასუხისმგებელი ამ ტრაგედიის, როგორც რეფტაციისთვის მებრძოლი მთავარი ძალა.

ძველი მუშები ნათლად ხედავენ ამ დამღუპველი პოლიტიკის შედეგს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ჩვენი ორგანიზაციის კრება, რომელიც მოხდა 3 მაისს პარიზში. ძველმა მუშამ **გ. ᲔᲠᲐᲫᲔ**, სხვათა შორის, შემდეგი უთხრა ნოე ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐს: სად არის, ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ის შენი სოციალისტური, ძველი დროშა, რომელსაც ჩენ მიეყვებოდით?! თქვენ ეს სოციალისტური და მუშათა კლასის გამაერთიანებელი ფლოგი ძირს დაგაგდეთ და დღეს ფრიალებს რამიშვილის ბუნტარელი დროშა და ამ დროშის ქვეშ ვდგებერთ დღეს. სად მივყეთ ვართ თქვენ ამ დროშით? არა, ჩენ, მუშები, თქვენს გზას ვეღარ გავყვებით, ჩენ სხვა გამოსავალი, სხვა გზა უნდა ვნახოთო.

მუშა თედო **ᲓᲔᲛᲘᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მოიგონა ძველი შეცდომები ჩვენი ბელადების და მიუთითა კრებას იქ ქოს�Თ, რომელიც გამეფებული იყო საქართველოში. თქვენი მოქმედებით გულგატეხილი, სთქვა მან, მხედრობა ეღალატა მბედრობდა, მასწავლებელი ეღალატა მასწავლებლობდა, ᲒᲚᲔᲑᲘ ᲒᲚᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

თქვენი მოქმედება იყო დამღუპველი და თქვენ მართლაც მიიყვანეთ დაღუპვის პირას ქართველი ერი და მისი მუშათა კლასი.

გიორგი ფოფხაძე შეეხო საკითხს, თუ როგორ შემცდარად აზროვნობდა პარტია სახელმწიფოს ერის გაგების საკითხში. მუშა და გლეხი, სთქვა მან, ერის ერის ცხოვრების ეროვნული

საკავშირო ავტო-გადარბენა
დაბრუნება მოსკოვში

პარიზში.

9 ენგენისთვეს, დილის სრულ 7 საათზე გადარბენაში მონაწილე მეექვსენი, მემანქანეები და კონტროლიორები უკვე თავთავის მანქანებზე იმყოფნენ.

ბუნებრივი დარი სიდგას. მსოფლიოს ეფელის კოშკი ავრილებს მიდამოს და საამფიოლეატრის ბალკონებიანი მონაწილეთა სახელმწიფოების ფერად დროშებს.

ეფელის მბიარული სახეებით და ბალკონით ხედება ერთმანეთს და კეთილად მგზავრობას ულოცავენ ურბანოს, გრძელ და მძიმე გზაზე.

ბანაფლენი თანდათან გროვდებიან. ამბ. ლიტვინ-ნედოვი განკარგულებას იძლევა, რომ ყველამ დაიკავოს თავიანთი ადგილები, რაც ერთბაშად სრულდება.

ბ-21 ქვეითა სკოლის ეზო, სადაც მოთავსებულია ავტომობილების ეზო, ისევ ტრანსპორტის მუშაკთა, ჟურნალის დელეგაციათ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით, რომლებიც მოსულნან, რომ გაეცალონ მორიგულ მოგზაურობაში მყოფელ მანქანებს.

ეფელ მოეთანზე სდგანან საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის ოპერატორები და ფოტოგრაფიორომლებიც სურათებს იღებენ. ბალკონებზე იქნა მანქანების ამოსვლა, ეზოდან გამოსვლა, კოლონებად დაწყობა და სხვა.

ამოვდგება ოსვლის დრო. გამაფრთხილებელი ეზვიდობებიან წამსვლელთ და გზას ულოცავენ.

ბანმსვლელთ წინ მიუძღვის მასპინძელი ხელისუფლების კომიტეტის ავტომობილი. ელიავან მეთაურობით, მათ მიყვებიან გადარბენაში მონაწილე მანქანები.

საქართველოს სამხედრო გზა
რეგულირების საჭიროებაზე განვითარება ფიქრობენ.

საკავშირო ავტო-გადარბენაში მონაწილე უცხოელებს საქ. სამხ. გზა-ტკეცილი მეტად მოეწონათ. ბევრი სათვანი ამბობს, რომ მსგავსი არსად არ უნახავთ. იტალიელები მათ ადარებენ თავისი ქვეყნის ალპიურ გზებს.

როგორც გადარბენამ გამოარკვია, ეს გზა მანქანების მოძრაობისათვის ნამდვილი და დამაკმაყოფილებელია. გზის სხვადასხვაგვარობა მოითხოვს მანქანის მეტ დამძაფრულობასა.

რომ გზატკეცილი კარგ მდგომარეობაშია ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ კავკავიდან თბილისამდე ერთი მანქანაც არ დაზიანებულა.

ინალიანი პროფესორ ლენტის გადარგვების შესახებ

იტალიური გაზეთის „პოპოლო ტალიანო“-ს კორესპონდენტმა მოსკოვიდან ჩვენს თანამშრომელთან ბეჭრის დროს აღტაცება გამოსთქვა ავტომობილ-გადარბენის ასე საუცხოოდ მოწყობის გამო.

ზეკითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილებას ახდენს გადარბენა მასზე და როგორ უცქერის ევროპა ამ გადარბენას, მოქ. სუსტერმა განაცხადა:

— მე შემიძლია განვაცხადო, რომ ევროპა და კერძოთ იტალია ამ გადარბენას უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ და მის მიმდინარეობას და შედეგებს დიდის ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს. დღეს ევროპის საავტომობილო მრეწველობა თითქმის კრიზისს განიცდის, იქ დაგროვილია აუარებელი ავტომობილები, რომლებიც ბაზარს ვერ პოულობენ და საკავშირო გადარბენა საგრძნობლად შეუწყობს ხელს ამ კრიზისის შენელებას.

რაც შეეხება კერძოდ ჩემს შთაბეჭდილებას უნდა ვსთქვა, რომ გადარბენის ორგანიზაცია ადეკვატური, თვით საბჭოთა კავშირის მოქალაქენი დიდად არიან დაინტერესებული ავტო-ტრანსპორტის შემოღებით. ამის ამტკიცებდა მთელი გზის სიგრძეზე გამართული შესახვედრი დემონსტრაციები.

გზების შესახებ ვიტყვი, რომ ზოგ ადგილებში საჭიროა მათი აღდგენა-შეკეთება, მაგრამ არიან ისეთი გზებიც, როგორც მაგალითად საქართველოს სამხედრო გზა და სხვები, რომლებიც სავსებით შესაფერისია ავტო-ტრანსპორტისთვის.

ბირნახული აკრეფა
ბოსტნეულის მოსავალი ქახეთში

წელს ზიგნით ქახეთში—განსაკუთრებით ყვარელის რაიონში საზამთროების დიდი მოსავალი იყო. რის გამოც საზამთროების ფასი ძლიერ დაეცა. ერთი ურემი საზამთროებით დატვირთული ადგილობრივ ხვირად 4—5 მანეთად იყიდება. სოფელ ყვარელის გლეხობამ მოიყარა ამბავი, რომელმაც თავს იღვა საზამთროების გასაღება ქალაქის ბაზაზე. ამისთანაობის

თბილისში ეკვე გგზავნილია 50 ვაგონი საზამთრო.

კურის მოსავალი ქახეთში

ქახეთში ყალოობა უკვე დასრულდა. სამაზრო საექსპორტო კომისიის ცნობების თანახმად პურის სიმრავლეა. მოსავალი უფრის ყოველ დესეტინაზე—40 ფუთს ხოლო ქერისა—50 ფუთს.

ყურძენი უკვე მწიფდება ალაგალგ ბაზარზე გასასყიდათ გამოაქვთ ადრეული ჯიშის ყურძენი. ადგილობრივი ვენახები უკვე შეუდგენ ზოველისთვის სამზადისს.

ხილის მოსავალი ალაზანსტანში

ალაზანსტანის მიწადმოქმედების ხალ. კომ-მა მოიახდინა ხილის ბაღების ავტომობილების პროცესია გაეშიფოია ალეგანოვის მთელ პროსპექტზე. პროსპექტის ორივე ზხარეზე ჩამწკრივებული ხალხი ტაშისცემით აცილებს ავტო-გზირებს, რომლებიც უკანასკნელი დაბრკოლების გადასალახავთან მიემგზავრებიან.

ქალაქის ქუჩებზე გავლით მანქანები მიემართებიან ფინიშისაკენ, სადაც ცოტა ხნის შესვენების შემდეგ კოლონებით ეწყობიან. გადარბენის ხელმძღვანელის ამბ. ლიტვინ-ნედოვის სასიგნალო ბოლოს ალეიანი ადგილებისანაკე მანქანები სწრაფად მოწყდენ ადგილს და ეიგზეურენ საქართველოს სამხედრო გზაზე.

სტარტთან

ავტომობილების გასაცილებლად სტარტზე საბურთალოზე, თბილისან გაწწკრივებულია წითელარმიელები და მილიციონერები, აქვე იმყოფებიან კომიტეტის წევრები. გაცილებას ესწრებიან მთავრობის წევრები და უცხოეთის წარმომადგენლები.

დილის 8 საათზე და 35 წუთზე მოსკოვის დროით დაიწყო მანქანების გაშვება. ისინი იგზავნებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად. თითოეული ჯგუფი იგზავნებოდა ხუთ-ხუთი წუთის შემდეგ, ხოლო მანქანები თითოეულ ნახევარ წუთის შემდეგ.

თითოეულ მანქანას შეეკრებილი ხალხი შეეხვარე ტაშით აცილებდა.

მანქანების უკან დაბრუნება გადაღებული იქნა კინოსათვის.

განსაკუთრებულის ზეიმით და ბრწყინვალედ გაცილეს სტანისეის ქალი, რომელიც ცალი ხელით საქეს ბრთავედა და ცალით ეშვიდობებოდა შეკრებილ ხალხს.

უკანასკნელი მანქანა გავიდა 9 საათზე და 27 ნახევარ წუთზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი
1925—26 წლისათვის

თელავის სამაზრო საფინანსო განყოფილებამ დაასრულა გადამხდელთა სიების შედგენა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი გასულ წელთან შედარებით 50 პროც.-ით არის შემცირებული. გასულ წელს გადასახადის საერთო ჯამი უდრიდა 274.000 მანეთს. წელს კი იგი 129.000 მანეთს არ აღემატება.

გადასახადების გამწერი კომისია სასოფლო ყრილობებზე აქვიყენებს გადამხდელთა სიას და თვითეულ კომლზე გაწერილ გადასახადის რაოდენობას, რის შემდეგაც კრება ამტკიცებს სიას, რომელიც დღიდან მოქმედებისა, შედის ძალაში. საერთოდ გლეხები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ გადასახადის რაოდენობის შემცირებით და სამართლიანი გაწერით. იმ პირთა რიცხვი რომელნიც უკმაყოფილებას აცხადებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე ძალიან შემცირდა. უმრავლეს შემთხვევებში გლეხებს სასოფლო ყრილობებზე სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოაქვთ რეზოლიუციები, სადაც აღნიშნენ მთავრობის საგადასახადო ჰოლიტიკას და აღუთქვამენ ხელის შეწყობას სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფის საქმეში.

ქრონიკა

— **დახმარება ინვალიდებს.** სრ. საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტმა მიმდინარე წლიდან დღემდე სამშობლოში გააგზავნა 178 უადგილ შეგებულება წასული ფოთელარმიელი, სამუშაოებზე, მოაწყო 107 უმუშევარი ინვალიდი და 19 ინვალიდი კოისკში.

— **ვეტლოსიანედები მილიციისათვის.** თბ. მილიციის სამმართველომ შეიძინა მილიციის ხაჭიროებისათვის 20 ცალი ვეტლოსიანები.

— **საზარმოო თათბირები.** ჩვენში არსებულ ქარხანა - წარმოებებთან დღეიანლოდმდე მოწყობილი იყო 200-ზე მეტი საწარმო თათბირი.

— **ხახლის შეძენა.** თბ. დამზოლეგ სალარომ გადასწყვიტა შეიძინოს სახლი დაზღვეულთათვის რენტაენის კაბინეტის მოსაწყობად.

— **დახმარება დაზღვეულებს.** ავგისტოს თვის განმავლობაში დაზღვეულებს დახმარების სახით დაეურიგა დამზღვევმა კასამ 14.552 მანეთი.

— **ხაბიბლიოთეკო კურსები.** 1-ლ სექტემბრიდან თბილისში გაიხსნა თბილისის მაზრის ‹ბოსამკოთხეულოთა გამგეების გადასამზადებელი კურსები.

— **ბატრანსფორმატორ ბეჭედები.** ამ დღეებში დამთავრდება თბილისში ბატრანსფორმატორ ბეჭედების მოწყობა.

— **შინაური ფრინველების ბრინის** საწინააღმდეგო შრატის დამზადება მომავალ წლიდან დაეკალა ოსიაურის სამრატე საგზურს.

— **პროდკალუბები.** საქართველოში ამჟამად ითვლება 50-ზდე პროფკლუბი.

— **კურორტებზე გაგზავნა.** გუშინ დამზღვეველა სალარომ დაასრულა დაზღვეულთა უკანასკნელი ჯგუფის გაგზავნა სანატორიუმ. არაბინდომში.

— **ხამკითხველოები მაზრაში.** ამ ტამად თბ. მაზრის სასოფლო სამკითხველოებში ირიცხება სხვადასხვა სახის 13,538 ცალი წიგნი.

— **ბანაგადა ხამუშაოებზე** მოიმეგეთ ხელფასი აგვისტოში საშუალოდ უდრიდა 1 მ. 49 კ.

— **რადიო-კონცერტები და რადიო-მოსმენებები.** თბილისის მძლავრი რადიო-სადგურიდან ოთხშაბათობით და კვირაობით ეწყობა კონცერტებისა და მოხსენებების გადაცემა, ტალღის სიგრძე—2200 მეტრი. გადაცემა—საღამოს 8 საათიდან 9 საათამდის.

— **ხასოფლო-სამეურნეო იარაღები.** საქ. საგზგმო კომისიის მიერ დამტკიცებულ გეგმის მიხედვით მომავალ 5 წელს განმავლობაში საქართველოში შემოტანილი იქნება 2.321.550 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **ქვანახშირი.** მომავალ წელში ამოღებული იქნება 5,100 ათასი ფუთი ტყიბულის ქვანახშირი.

— **ბაკონოვის ხნეულებახთან** ბრძოლის საქმე მომავალ წელში მთლიანად გადავა მიწად-მოქმედების კომისარიატის ხელში.

— **ტახახმელის საშრატე ადგურის** საჭიროებისათვის 1925—28 წელში, მიწად-მოქ. ხახ. კომისარიატმა გადასცა 175 ათასი მან.

— **შაჰიამანი და ბოგირი.** სასოფლო-სამეურნო ბანკმა საქართველოს საკრედიტო ბანკიდან ანაგის, კარდანახის, ველისციხის და მუკუზანის თემებში.

— **გლეხები უმეტეს შემთხვევაში** დაუგვიანებლად და სავსებით იხდიან გადასახადს.

— **ბოლო ვადა.** 24 და 26 აგვისტოს ჯვარატბოსანის გზაზე სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი თავს დაესხა ბოიმორიდან თბილისში მომავალ ბლეხებს და გაძარცვეს.

— **დაგრა.** 2 სექტ. ღამის 2 ს. ფიდუბის ქ. № 23 ღამით დაკრილი იქნა მარიან ოსლოფვისა, ეკვეთ შეიპყრეს ვერა ფრაგმეკეა.

— **შეპყრობა.** 2 სექტ. დილის 8 ს. ბონარის ქ. შეიპყრეს ხეფრ ქ. დავითიანი ნაქურდალი ნივთებით.

— **ამბავ** დღეს შეიპყრეს იასონ საკანაძე, რომელსაც ბრალად ედება ხაბადის ქ. № 8 ფეფბარგ ზოთედ სასადიფოს მოსახსნელად ეკრესეფერ ბრალეფოთ 60 მან. ბრალი.

მუშათა ცხოვრებიდან

რკინისგზა ხალხისათვის, თუ ხალხი რკინისგზისათვის?

ჩვენ რკინის გზებს ბევრი ნაკლი აქვთ. ბევრი სწორდება, კეთდება, მაგრამ ძალიან ნელი ნაბიჯით მივდევართ წინ და ახლოს რომ დაუკვირდეთ საქმეს, ხშირად ისეთ დასკვნას გამოვიტანთ, რომ რკინის გზა როდია ხალხისათვის, არამედ ხალხი ყოფილა რკინის გზისათვისო.

30 აგვისტოს ბათომიდან მომავალმა საფოსტო მატარებელმა, ეუარებელი მგზავრები, რომელთაც ჰქონდათ ამ მატარებელზე აღებული ბილეთები, დასტოვა სადგურ ნატანებში, სუფსაში და სხვაგან.

მემუხრუჭეები არ იყენენ თავიანთ ალაგას და თუ რომელიმე მგზავრი კი შეეხოდოდა როგორმე მატარებელში, მას ეუბნებოდნენ: ალაგი არ არისო. ზოგი მგზავრი დადგება კარებში, ზოგი კი გარბის ადგილის საპოვნელად ვაგონიდან ვაგონში, მაგრამ ამაოდ. მას ყველგან უარით ისტუმრებდენ, ამასობაში ისმის მეორე ზარი, უფროსი მემუხრუჭის და ორთქლმავალის სტვენა. მატარებელი ძრება ადგილიდან და ბილეთიანი მგზავრი რჩება სადგურზე.

ეს ყოველად დაუშვებელი ამბავი ხდება არა მხოლოდ მაშინ, როცა მატარებელში ალაგი აღარაა, არამედ ამ შემთხვევაშიც, როცა რამოდენიმე რონოდა თითქმის ცარიელია.

ბოლო უნდა მოეღოს ამ უწესოებას.

მემანქანე ს. დოლიძე.

ალაგმეთ ეს ბოროტი ვაჭარი

პლეხანოვის შესახვევში არის ბაღი „პურ-მარილის“ სახელწოდებით. ივიერ „ედემი“. ამ ბაღის მოჯაჭარეული არიან ეგნატაშვილი, ვაშაკიძე და გ. კერესელიძე, რომელთაც ეკუდათ არ მიაჩნიათ და დედაოფლა ქალამნათ. აქ მუშაობს რამოდენიმე კაკვირის წვერი აუტანელ პირობებში. აი მაგალითიც: 26 აგვისტოს 5 საათზე დილით ბატონმა კერესელიძემ მუშტი-კრივით ივარჯიშა სახალხო კეიბის კაკვირის მიერ ამორჩეულ დელეგატ ამბ. ხიდიშელის წინააღმდეგ და ისეთი სიტყვებით მიმართა მუშას: მე თქვენ გრავენებთ სერის. ისეთ დღეს დადგენებთ, რომ თქვენ თვითონ გაიქცეთ აქედანო.

სადახარ შრომის ინსპ ექტორო!

მუშა თ. კოკოთელი.

ესეც თქვენი ექსკურსია!

24 აგვისტოს მყორე სახელმწიფო თუთუნის ქარხანა „პროლეტარის“ მუშათა შორის გამოაცხადა ადგილკომმა, რომ გემო-კვების კავშირთან არსებული კულტგანყოფილება აწყობს ექსკურსიას მუშებისათვის ლენინგრად-მოსკოვში და თუ სურვილი აქვთ მუშებს, შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონონ. ამისათვის საჭიროა წარმოადგინონ 60 მანეთი გზის სახარჯოდ. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რამდენად ფიქრობენ ამ ექსკურსიის ინიციატორები ისეთ მუშებზე, რომელთაც თვიური ჯამაგირი არ აღემატება 42 მანეთს (ასეთები უმრავლესობაა). ამ მუშებს საიდან შეუძლიანთ ერთბაშად 60 მანეთის გადახდა და თუ გამოჩნდა რომელიმე მუშა ამან უნდა თვეზეხვევარი არც თვითონ და არც თავის ოჯახმა არც უნდა ჭამონ და არც სვან, რომ ის მოსკოვის ნახვას ეღირსოს. ამიტომ საჭირო იყო, ჯერ ამაზე დაფიქრებულიყო ექსკურსიის ხელმძღვანელი და მერე ჩვენთვის გამოეცხადებინა. ჩვენ აქ ჩვენზე დაკანონის მეტს სხვა არაფერს ვხედავთ.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

ვიტანჯებით უფულობის გამო

ალექსანდროვის ქუჩაზე სახ. № 28-ში 90 პროც. მუშა-მოსამსახურეები სცხოვრობენ, რომლებიც ათი დღეა დიდ გაჭირვებას განიცდიან უფულობის გამო. დაახლოვებით ათი დღის წინეთ მოფლოდნელად სახლის კომენდანტმა ქ. ალმასკომის წყალსადენის განყოფილების გამგის განკარგულებით დაეკეტა ონკანი მდგმურები გაიქცენ მეზობლად წყლისათვის. მეზობლებმა დღეს კი გაუწიეს მეზობლობა, მაგრამ მეექვსე დღეს კი უარით გამოისტუმრეს. დღეს მდგმურები აუტანელ მდგომარეობაში არიან, ერთი მხრივ უფულობის გამო და მეორედ, შეუძლებელია სისუფთავის დაცვა. კომენდანტმა პიზეზათ დაასახელა, რომ მდგმურების ხაფლიმა წყლის ფული არ შემოიტანესო, მაგრამ რა დაეშავა ჩვენმა უმრავლესობამ, რომლებმაც რვა დღეა ფული შემოვიტანეთ?!

ელიზბარი.

წუმწუმეოლებში

წუმწუმის ქარხნის მუშებს გვაქვს ნახევარი საათით დასვენება პურის საკმელად და საუზმისთვის. მაგრამ არა გვაქვს სათანადოდ გამართული ოთახი, ან ადგილი, რომ მუშამ ჭამოს პური თავისუფლად. ზოგი მუშა ფანერებზე აწყობს საკმელს, ზოგიც კი დაზგებზე, ზოგმა არც იცის, თუ სადა ჭამოს პური.

ჩვენ პოვითხოვთ რომ გვქონდეს სადმე ადგილი საუზმისათვის და არა ჭუჭყიან მანქანებზე პურის ჭამა.

დროა აღმინისტრაციამ მეტი იზრუნოს მუშებზე.

მუშკორი გაზელი.

სახლის პატრონის თავგასულობა

8 აგვისტოს ბინა დაიქირავა ერთმა საბჭოთა მოსამსახურემ არკადის შესახვევში სახ. № 2-ში; გადიხადა ქირა სახლის პატრონების მიერ შექმნილ „კანონების“ თანახმად წინდაწინ 50 მ. ჩაიბარა გასაღები და გადიტანა კიდეც ნაწილი თავის ბარგისა.

მესამე დღეს, როდესაც დამჭირავებელი მივიდა თავისი ბარგის მეორე ნაწილით, აღნიშნულ ბინაზე დაინახა, რომ მის ბარგი დასახლისის ეიკანაზე გამოეყარა. დამქირავებელი შეეკითხა სახლის პატრონს თუ რას ნიშნავდა მისი ასეთი მოქმედება და პასუხად მიიღო ქალბატონ რაკვა ბოიკელოსგან შემდეგი პასუხი: „მე ბინის არ ვაქირავებ საბჭოთა მოსამსახურეებზე და ქართველებზე ჩემი მობინავე აუცილებელად უნდა იყოს უცოლშვილი კაცი“-ო და ეიან დაუმატა: „მე სახლის პატრონი არ ვარ და არ მაქვს უფლება სახლის გაქირავების“-ო (?) გეკითხებით, სად წავიდეთ ჩვენ, უბინოთ საბჭოთა მოსამსახურეები, ქართველები და ცოლშვილიანი მამაკაცები?

ბ—ლი.

მიხედეთ ამ ძველ, უმწეო მუშა-ქალს

ორჯონიკიძის სახ. ქუჩაზე (ყოფ. ანდრეევის ქ.) № 115-ში სცხოვრობს ქვრივი ოლღა ალექსანდრეს ასული ბაბაიშვილისა. ის მუშაობდა 1-ლ თამბაქოს ქარხანაში 20 წელიწადი და 1923 წელს ტანჯულ ოჯახის ბინა ოფლი ბოვნილი შტატის შემცირების გამო და მას აქეთ დადის უმუშევრად, დადის შრომის ბირჟაში, მაგრამ ის არ იქნა გაგზავნილი სამუშაოზე. შემდეგ მომართა საექიმო კომისიას, რომელმა გადარიცხულიყო „პენსია“-ზე. მაგრამ კომისიამ სცნო ჯანმრთელად და არ გადარიცხეს პენსიაზე. ეს ქვრივი არის უპატრონო; მას მარჩენელად არავინ მოიპოვება; ის იღებს მხოლოდ სამ მანეთს, როშეუსაც ძლივს ეკვშირი დახმარების სახით თვიდან-თვემდე.

მიხედეთ ამ უპატრონო და უსაბალო მუშა-ქალს.

მუშკორი მგზავრი.

მუშკოოპი გვეხმარება

30—აგვისტოს გაზეთ „კომუნისტ“-ში მოთავსებულია წერილი „ეფერებით კოოპერატივების წევრებად“ მიიქცია კოოპერატიები გამგეობის ყურადღება. მეორე დღესვე გამოგზავნეს თავიანთი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს, რომ ისინი მზად არიან გაუსწინ მუშა-წევრებს კრედიტი ყოველ თვის 15-დან ბოლოამდის და შემდეგაც. მხოლოთ იმ პირობით, რომ ადგილობრივ ქარხნის დირექციამ მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხში. მასა მოუნელლობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ჯამაგიროის მიღების დროს ჩვენ გამოგვიირიცხონ ის თანხა, რაც აღნიშნულ დროში მუშებს ვალად ექნებათ და გადასცეს კოოპერატივს. ამაზე ადმინისტრაციას ჯერ თავისი აზრი არ გამოთქვამს. მაგრამ, იმედია, რომ ჩვენი დირექცია, თუ ის მართლა დაინტერესებულია მუშათა ცხოვრების გაუჯობესებით, ის უარს არ იტყვის და ხელს შეგვწყობს, რითაც ის ორგვარ სარგებლობას მოუტანს როგორც მუშებს, ისე კოოპერატივს.

ამგვარად მუშები კერძო ვაჭრებს მსხვერპლნი არ გახდებიან; მასთან ყოველი მუშა უფრო მეგობრულად და შეგნებულად შეხედავ კოოპერატივს და არც ერთი მაგვანი არ ჩამორჩება მის წევრობას.

მუშათა კოოპერაცია ნამდვილ ჩვენ ოჯახად გარდაიქმნება.

მუშა ალ. ბ—შვილი.

ცხელი პროვინციიდან
პროვოკაციით გაბრიყვებულნი

გზაფეხულზე, მაშინ, როდესაც ხვნას უდგება გლეხი, გავარდა ხმა: „ვისაც ჩამორთმეული ჰქონდათ მიწები და გადარიცხული ფონდში, ყველას უკანეე უბრუნდებათო“. ამან ნაკლოდნაში შეიყვანა ზოგი ძველი პატრონები. ისინი ხელისუფლების დაუკითხავად ჩავიდენ თავიანთ მამულებში და დახნეს და დაფარცხეს ის.

ამან ბუნებრივად უკმაყოფილება გამოიწვია იმ უმიწაწყლო გლეხებში, რომლებმაც სამი წლის უკან მიიღეს მიწა და ის თავის საკუთრებათ მიიჩნიეთ.

მიწათმოწყობის სექციამ მიიღო ყოველგვარი ზომები, მაგრამ არავითარმა საშვალებამ არ გასჯრა მათ წინააღმდეგ. ბოლოს აღმასკომი იძულებული შეიქნა მ მათგანი გადაეცა სახალხო სასამართლოსთვის.

13 ივლისს გაირჩა 4 ძველი მესაკუთრის საქმე. აქ გამოირკვა, რომ ისინი ვიღაცას „შეცდომაში“ შეუყვანია, რომ ისინიც მიწას მუშები არიან და დღეს, როცა გაიგეს ყოველივე ეს პირი ყოფილაო, დაუტოვებიათ მიწები.

სასამართლომ მიიღო ყოველივე ეს მხედველობაში და დაადგინა: სამ ბრალდებულთაგანს—ივანე ხუკუაას, კოწია ხუკუას და კოწია ნიკოლაძეს მიესაჯოს ორ-ორი კვირით იძულებით სამუშაო. მეოთხე ბრალდებულს, ნიკიფორე ნიკურაძეს კი ერთი თვით. მაგრამ რადგან ის არ იმყოფება აქ —პირველ სამს სასჯელი შეუცვლიეს ხუთი მანეთის ჯარიმით თვითეულს და ნიკურაძეს კი 10 მანეთის ჯარიმით. ამნაირათ ჩაიარა ამ მცირე მნიშვნელობის, მაგრამ ბევრის მღელვიელმამ პროცესმა.

მან გაჰფინტა ის ბურუსი, რომელიც პროვოკატორებმა განზრახეს შეთხზეს სოფლად შეფოთის და უთანხმოების დასათესად.

სამ. კიკაჩეიშვილი.

სოფლის ფოსტა და გაზეთების გავრცელება

სოფლად ლიტერატურის გავრცელებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას და ფხიანობას ითხოვს გაზეთის გავრცელება-მიწოდების საქმე. დაგვიანებული გაზეთი ჰკარგავს მკითხველისათვის თავის ღირებულებას.

გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როცა სოფლის მკითხველს ერთბაშად, ეძლევა რამდენიმე დღის ნომერი, რაც თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა გადაქცეული, ის ვერ ასწრებს მიღებულ გაზეთების სრულიად გადაკითხვას და სავსებით გამოყენებას.

ამ შემთხვევაში არავის ისეთი დახმარების გაწევა არ შეუძლია გაზეთისა და მკითხველისათვის, როგორც ფოსტას. ის არის ერთი მთავარი არხთაგანი, რომლის საშუალებითაც ქალაქს სოფელთან უკავშირავს კულტურული და ეკონომიური კავშირი.

სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ფოსტის ადგილობრივი მომუშავეები ბევრ შემთხვევაში ვერ სდგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე. ხშირათ სჩივიან კორესპონდენტები ადგილებიდან ფოსტის მოხელეთა გაზეთის გავრცელებისადმი გულგრილობაზე და დაუდევრობაზე.

ამას წინად წერილი იყო მეუჯვრისეული ადგილობრივი ბიბლიოთეკიდან, სადაც კორესპონდენტის ავტორი გვატყობინებდა, რომ ბორის ეკონომიებს ანგარიში გაუწიოს ჩვენს მოთხოვნილებას და გაზეთები ყოველდღიურათ მოგვაწოდოს, რის შესაძლებლობაც მას აქვს ნივთიერ ხარჯის გაუდიდებლათო.

საგარეჯოდან იწერებიან, რომ სამი სოფელი: ბეირნაგეშინდა, ანთოკი და მარიამჯვარი, რომლებიც ფოსტის განყოფილებიდან 1—2 ვერსის მანძილზე მდებარეობენ, სრულიად მოკლებულ არიან ამ განყოფილების ყურადღებას და ამის გამო გაზეთის ვერ იწერავენო.

გარდა ამისა გურჯაანიდან აცნ ელენე ასლანიშვილი გვწერს, რომ მას გაზეთებს ხშირათ უკარგავენ და არ იცის ვის მიმართოს. ფოსტა სამკითხველოში გზავნის, სამკითხველო ფოსტაში და ასე დაფსრულებლივ. ამავე დროს გურჯაანის განყოფილებას ჰყავს წერილების დამტარებელი, რომელსაც შეუძლია გაზეთი ხელის მოაწერს ბინაზე მიუტანოს, მაგრამ ეს მოუხერხებელი ყოფილა თურმე იმიტომ, რომ გაზეთზე საფ. გურჯაანი აწერია და არა სოფელი გურჯაანი. ასეთი ბრძნული განმარტება მიუღია ფოსტის განყოფილების უფროსს ადრესატისათვის.

ეს ფაქტი საუკეთესო დამახასიათებელია ზოგიერთი ფოსტის მოხელის ბიუროკრატიზმისა და საქმისადმი უგულო მიდგომის.

როგორ, განა პაწაწინა ფარატინა ქალაღდი, რომელზედაც მისამართი სწერია, წინ გადაეღობება ამანათებს დაამტარებელს, თუ მან სადგურ გურჯაანიდან გადაადგა ფეხი სოფლისაკენ? რას ფიქრობდა ფოსტის უფროსი, როცა ასეთი ჩინოვნიკური პასუხით გაისტუმრა ხელისმომწერი?

ცხადია, ასეთ პირობებში ზედმეტია სოფლის გაზეთით ნორმალურათ დაკმაყოფილებაზე ლაპარაკი. სამწუხარო ისაა, რომ ამგვარი, შემთხვევები ძალიან ხშირია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მდგომარეობას.

ჩვენ გვინდა არა „მუკვედი“ მოხელეები, არამედ ხაზოგადოებრივ ინტერესით გაჯსულელი და სოფლის ერთგული მსაური მუშაკები.

ბ. ბ—ლი.

ბეჭდვა
ბანძის თემის ავ-ქარგი

ადგილობრივი აღმასკომი არ უწევს დახმარებას გლეხთა კომიტეტს. აღმასკომი ცდილობს თემში არსებული ყველა წესქვილები და შენობები იყოს მის განკარგულებაში, გლეხთა კომიტეტი კი თავისაკენ იწევს. ასეთი დაპირისპირება არ უნდა არსებობდეს მათ შორის.

პირველი აღმასკომი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ გლეხთა კომიტეტმა უფრო ნორმალურად იმუშაოს, რომ ამ კომიტეტის განკარგულებაში მეტი წეთელი სასადილოები, მეტი საბჭოთა წესქვილები, მეტი ჩამორთმეული სახლები იყოს.

ასეთი გლეხკომი მეტ დახმარებას გაუწევს სოფლის ღარიბ მოსახლეობას.

გარდა ამისა არ შემიძლია აღვნიშნო შემდეგი არანორმალური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ბანძის თემში. ხშირად სწავლის ფულისაგან განთავისუფლების მიზნით ადგილობრივი გოლის შვილებს შეაქვთ განცხადება აღმასკომში სილარიბის მოწმობის მიღების შესახებ.

აღმასკომის თავმჯდომარე არ იცნობს მთელი თემის მოსახლეობას და ზოგჯერ აძლევს უკიდურეს სილარიბის მოწმობას ისეთ გლეხს, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს საშუალო შეძლების მოსახლედ.

პატარაია

ფეიერვერკი

სწავლისადმი გულგრილობას იჩენენ. მიუხედავათ იმისა, რომ ელისაბეტის შეძლებული სოფელია, მოსახლეობა ფულგრალათ ეკიდება ადგილობრივ ცხოველ ეფერსის. შენობა აღარ ვარგა, არ არის ფიზიკური და ქიმიური კაბინეტი. სკოლის დახმარებაზე სოფლის ყრილობამ უარი განაცხადა. ბედაგოგიური სიბჭო ნაგონებელია. შესაძლებელია მოუწყობელი სასწავლებელი ვერც კი დიწყოს დროზე მაცადინობა. მოწაფეები კი 600 სულამდე ადის. მოიარეთ ასდ შეუძლია მასწავლებლებიც შეინახოს. შენობაც შეაკეთოს და ხელსაწყოებიც მოგვაწოდოს?

ჩხერიმელი.

არც ძველი ვარგოდა, ახალიც მოიკოვლეს. ს. თერჯოლის ძველ საჩეოს სა რთო კრებამ საყვედური გამოუცხადა უმოქმედობისათვის, მაგრამ არც ახალი ინენს დიდ ფასს მუშაობაში. დაგენილებები ცხოვრებაში ვერ ტარდება. აღმასკომი ვერ უწევს ხელმძღვანელობას საბჭოს. სასწავლებლები შეუკეთებელია. აღმასკომის ნებართვით წარმოდგენები ხშირათ იმართება, რომელიც ქეიფს უფრო წაგავს, ვიდრე კულტურულ გასართობს. ბაზრიდან დროს სტარბლათ და. საქმეფოთ თუ ვინმე ჩამოვა, თორემ ისე არავინ იწუხებს თავს.

ლანიველი.

ტირია მილიციის უფროსი. ამ დღეებში ნაგომრის თემის (ბურია) მილიციის უფროსმა ბაზარზე დაატუსაღა მთავალი გლეხი, რაც სამმართველოში მოიყვანეს გლეხი მილიციის უფროსმა ყვირალი დაუწყო მას. გლეხიც ვიღში არ დარჩენია. ერთი ორათ შეუფვირა მილიციის უფროსს. უკანასკნელმა გლეხ მოიოთმინა და ტირილი დიწყო. სულ ცრემლებში იღვრებოდა გულნოვილი მილიციის უფროსი. როცა ნახეს კარგათ, რამ ატირა ასე გული მაღლიციის უფროსს, გამოირკვა, რომ მას ზოგზე მეტი ნუფუა გადაეყლაპა.

მოიდანახე.

მიგიწყებული გზა. სადგ. საკავეთოს ხაუფლის გზატკეცილი, რომელიც მიემართება ბათომისაკენ. ეს გზა დღეს უნგრეულ ადგომარეობაშია. რაც გუთ ბელიაფფლების დროს არ ეღირსა მას შეკეთება. ერთ ერთს დაიწყო მაზრამ მისი შესწორება. მაგრამ უსასრულის გამო საქმე ის ვმორჩა. თუ ზაფეულზე არ იქნა გაკეთებული საკავეთო-ბათუმის გზატკეცილი, ზამთარში სოფელი უგზოთ დარჩება.

ძველი.

ზანგატიანი პატარაია. ფოსტალიონ გრიგოლ პერტაიას სართიგალიდან ბაბაშაში გამოუგზავნია ეკვსანი მანეთის ფულის ბარათი. ადგილობრივ ფოსტის განყოფ. უფროსმა იქვი აიღო ბარათის სინამდვილეში და ტელეგრაფით შეაკითხა სართიგალას. გამომძიებელმა პატარაია დაიპატიმრეს და პასუხისგებაშია მიცემული. სირცხვილი კაკვშირის ასეთ ეფიციოს წევრს.

ოქტომბრელი.

ივრის ხიდს შეკეთება უნდა. მდინარე ივრზე არის ერთად ერთი ხიდი, რომელითაც სარგებლობს ახლო-მახლო სოფლები და შორეული მგზავრებიც. ეს ხიდი იმდენათ დაბიანებულია, რომ მაზე საკონელის გატარებაც სახიფათოა. საგარეჯოლ ბელეზეს მ

მასწავლებელი და საგაზოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტს საიგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში საღამოს 5 საათზე.

1. კერესელიძე, 2. ლორთქიფანიძე, 3. სნირონი, 4. მელუა, 5. ბაკალიშვილი, 6. მარდულაური, 7. კაჩაური, 8. სლობოდა, 9. კლარა რიმმანი, 10. დორიაში, 11. ბოლოტოვი, 12. ჯორნ მანთაშვილი, 13. ვერულაშვილი, 14. ბიტტორ კაშია, 15. კურდინოვი, 16. მეზეჩრიაკოვი, 17. ასკილოიანი, 18. პატარაია, 19. ა. ნასარეტიანი, 20. კ. შალვია, 21. ჩ. სალეკაძე, 22. მანანდიანი, 23. ვოლტმანი, 24. ჩიხაევი, 25. ბიბიკო ბერულავა, 26. მიხეილ ლომთათიძე, 27 ივანე ბლუხოსკი, 28. მიხარაძე—26 კომუნარის ხან. ქარხნ. უჯრედის წევრი, 29. ჩიხლაძე—არსენალის უჯრ., 30. გოგოლურიძე—ტრამვაის ფაბ., 31. გამყრელიძე—25 კომ. ხან. ქარხნ. უჯრედიდან, 32. სარკვალაძე—ბილიციელი, 33. ჯიბლაძე ტრამვაი, 34. ნიკო მჭედლიშვილი, 35. ერემეინი—ელექტრ. მუშა უჯრედიდან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტს აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან.

1. ვასილ სტეპანოვი, 2. პეტრეს ბერეზინეველი, 3. კონსტანტინე ბერბაკაძე, 4 შალ ულუდაე, 5. კვიციაშვილი ივანე, 6. ჯანიტრია ეკვთიმე, 7. მაიე ბაჩინაშვილი, 8. ნიკოლოზ დეკიანაშვილი, 9. აბბოსი დასტურიძე, 10. ვასილ მკერვალიშვილი, 11 ილია ბოლოკაძე, 12. აბბოსი სალთიძე, 13. ალეკო. სბაშვილი.

განცხადებები

მარიამ დი მიტრის ასული კობიძისა თაეისი შვილით ალიოშათი (ალეოშა) ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს დასწრონ მისი საყვარელი ქმრის

სილოვან დავითის ძე კოკაძის

პანაშვიდს წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ამა წლის 6 ენკენისთვეს ხუთშაბათს 12 საათზე, წასვლა სასაფლაოზე დღის 10 საათზე, საკუთარი ბინიდან (ნავთლუღი, იმერეთის ქ. № 12)

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი დარო თევდორეს ასული, შვილები: ბაბილი, დაშა ბებიაშვილისა და მაგალო კეშელავასი, სიძეები: ლეონტი ბებიაშვილი და ზოსიმე კეშელავა, შვილისშვილები: ზოთა და ფატმანი, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 5 სექტემბერს — გადახდილ იქნება წლისთავი ბინაზე ქალაქ ხაშურში

გიორგი ეგნატეს ძე სხილაძის

პანაშვიდი—სურამში. ქვ. 2463 1—1

ღრმად დამწუხარებულნი: მარიამ ივანეს ასული და ნიკოლოზ და კონსტანტინე ივანესძენი ქუთათელაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათთვის ძვირფასი დის

ვასასი ივანეს ასულის ქუთათელაძის

ორმოცი დღის შეტირილი დანიშნულია ა | წ. 5 სექტემბერს, შაბათს, ქ. ხონში მაცხოვრის სასაფლაოზე. ქვ. 2464 1—1

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფნი. ქმარი ლავრენტი, შვილები: ნეო (პასიკო), თამარი, ვალიკო, კოლა გიორგი, არქიპო და მიხეილ კანელაკები, რძლები: კატუშა ვაჩნაძე და ანოლინარი სვანიძე, ს ძე ალაკი (ალაძე), შვილის-შვილები: ნინო ლილი და ლეილა სირაძენი; ოთარი, გულნარა, ელეონორა, ელენა და შალვა კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა ენკენისთვის 4-ს, დაუვიწყარ

გულდამ კანდელაკის

უფროოთ დაკარგვის 40 დღის თავზე მის სახელის მოსაგონებლად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფელ ნიკორწმინდაში (რაჭა). ნ. 1665 1—1

გულდამწვარნი და ღრმათ დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე ლავრენტის ასული, ბებია ნატალია ათანასეს ასული, ბაბუა ალექსანდრე გიორგის ძე, მამიდები: ოლგა, ქსენია, ეკატერინე, თალიკო და ნატაშა ალექსანდრეს ასულნი ქუთათელაძეები და პიერეი: მეხეილ, ალექსანდრე და გრიშა ქუთათელაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 5 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე სოფ. ივანდიდის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის

ალექსანდრე (შურა) ვლადიმერის ძე ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებების საყურადღებოდ

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებულ წერაკითხვის უცოდინარობასთან

მეგრძოლი საზოგადოება „წერაკუმსი“

ამით აცხადებს:

რომ გამოვიდა და იყიდება წიგნის ცენტრალურ მაღაზიაში (რუსთაველის ქუჩა № 11 ყოფილი სახელგამის მაღაზია)

შემდეგი გამოცემები:

1) ს. თალაკვაძე „კომპარტიის ისტორიისათვის“ ქართულ და რუსულ ენაზე—ფასი თითო ცალის —1 მან.

2) ტარლე „ევროპა ომის კონგრესიდან ვერსალის ზავამდე ქართულ ენაზე ფასი—1 მან.

3) „მენი და ტეისი“—ელემენტარული ფიზიკა და მისი პრაქტიკული გამოყენება, სახელმძღვანელო შრომის სკოლის II საფეხურისათვის, მიღებული სოც. აღზრდის მთავარ მმართველობის მიერ —2 მან.

4) ტიუმენევი „შრომის ისტორია“—ფასი 1 მ. 20 კ.

5) თბილისი და მისი მიდამოები რუსულ ენაზე—2—50 კ.

6) „ „ „ „ მხატვრული. ყდით 3 მ.

7) ექ. კანტი „დედის ანბანი“—ფასი 30 კ.

8) „გლეხის ანბანი“ მოზრდილთათვის—ფასი 50 კ.

9) „სომხური ანბანი“ მოზრდილთა სკოლისათვის ფასი 50 კ.

10) ოსური ანბანი „ „ ფასი 50 კ.

საგლეხო ბიბლიოთეკა

11) ექ. ჩხეიძე ორი წიგნი თითო ც. 30 კ.

გადამდები სნეულებანი

12) პაიჭაძე „რა არის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი“ ფასი—30 კ.

13) შარაშიძე „საოჯახო ბოსტანი“—ფასი 30 კ.

ამ დღეებში გამოვა გასასყიდად

14) ბერდნიკოვ-სვეტლოვი „პოლიტიკურ ცოდნის კურსი“—მსურველებს შეუძლია დაიკვეთონ განსაზღვრული ტირაჟი, აგრეთვე შეიძლება გადაგზავნა ფასდადებით, 20—25 პროც.-მდე დაკლებით.

ნის. 1651. 2—2 **ცენტრალური გამგეობა.**

საჭიროა კორექტორები

ვისაც ორი-სამი წლის მუშაობის სტაჟი არა აქვს, ნუ გამოცხადდება.

პირობების გაგება შეიძლება რედაქციის მდივანთან, საღამოს 5—7 საათამდე.

პროტესტანტების გაღასასადი

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

აცხადებს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელების, კერძო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა პატრონების და პირადი საქმიანობის მწარმოებელთა საყურადღებოდ, რომ პატენტები ვაჭრობის, მრეწველობის, პირადი საქმიანობის წარმოებისა და საწყობებისათვის ფასიანი პატენტები და უფასო ბილეთები პირველი ნახევრისათვის (ოქტომბერი-მარტი) 1925-26 სბიუჯეტო წლისა უნდა, უსათუოდ, შეძენილ იქნენ ენკენისთვის განმავლობაში.

საწარმოს პატრონებმა უნდა შეიძინონ თავისივე ხარჯზე მათი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა თანამშრომელთა პირადი საქმიანობის პატენტებიც, თანახმად პირადი საქმიანობის წარმოებათა აღწერილობის 3—10 ბ. ბ.

პატენტების გაცემას აწარმოებენ ფინსახკომის საღაროებიხოლო თბილისში აღნიშნული სალაროების გარდა კომუნალური ბანკიც.

როგორც საწარმოთა, ისე თანამშრომლების პატენტები უნდა გამოკიდულ იქნენ საწარმოებში თვალსაჩინო ადგილებზე.

თანახმად ინსტრუქციის 53 და 54 მუხლებისა დაკეტილ იქნებიან ის საწარმონი, რომლებსაც არ აღმოაჩნდებათ დებულებით გათ ვალისწინებული ყველა პატენტები.

იმავე ინსტრუქციის 74 ხუბ. მიხედვით საწარმონი, რომლებიც დებულების მიხედვით იბეგრებიან სათანაბრო გადასახადით, მოვალე არიან წარადგინონ სათანადო საგადასახადო უწყებაში, რომლებშიაც იმყოფება საწარმო, დაწესებული ფორმის განცხადებები საწარმოს წარსული ნახევარი წლის (აპრილი-სექტემბერი 1925) ბრუნვის შესახებ არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

მიღება საბეგრო ცნობებისა და ფ. ფ. №№ 1 და 2 ბლანკებისა საწარმოებს საგადასახადო უწყებაში.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში—ლ. ლონტი.
გადასახადთა განყოფილების მმართველი—ჯ. ფაფარიძე.
პირდაპირ გადასახადთა ქ | განყოფილების გამგე—ბეზირგაიშვილი
ნ. 1666 1—1.

საქართ. მეფა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გაზეთი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 20 მაისის თარიღით გაცემული მანდატი № 3525 მოქალაქე ნაკოლოზ ლომაძეს, სამეფო-ტყის მუშაობდა თბილისის რაიონის მოჯამაგირეებს შორის, გაუმეგზავნია, რადგან მოქალაქე ლომიძეს თანამდებობა ტარიელ ... დენია ბოროტმოქმედებანი.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი: ფანცხავა.

პრეზიდიუმის მდივანი: ელიავა.

ნ. 1668 1—1

ა | კ. რკინის გზათა გამგეობა

აცნობებს

მეორე ეკონომიურ თათბირზე

მოწვეულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომ თათბირი

ოესდგება 10 სექტემბერს,

დილის 10 საათზე, გზათა სამმართველოს შენობაში (თბილისი, სადგურის ქ. № 1).

ვსთხოვთ ეკონომიურ თათბირზე გამოგზავნილ წარმომადგენლებს თან იქონიონ საამისო პირადობის მოწმობა.

2—2 ნ. 1664 **საამართველო.**

საჭიროა

ქართულ-რუსულ მანქანებზე მეცადინე ქალი

პირობების გაგება შეიძლება ვაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორის

გამგესთან, დილის 9—3 საათამდე.

2—1

დავკარგე უვადო ბილეთი მოცემული თბილისის ალმასკომის საადგ. განყოფილების მიერ **ალექსანდრე** მენთეშაშვილის სახელზე. ჩ. გ. (ა) 2466 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ჯარში ნაბსახურის ქალაქი, შრომის ბირჟის უმუშევრობის მოწმობა გეორგა მარბაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2465 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ბიბინა ილარიონის ძე ყიფიანის სახელზე. ჩ. გ. 2471 1—1

დავკარგე საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ნინო ფსიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2470 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 168 ვალენტინა **გასვიანის** სახელზე. ჩ. გ. 2469 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ვასო ივანეს ძე ოთარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2467 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1371 ვარტანეშ ომაროვის სახელზე. ჩ. გ. (ბ) 2466 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ნიკოლოზ ეფრემის ძე ფაჩუაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2468 1—1

„26“-ის სახელოვნის ა.-პ. კომუნისტური უნივერსიტეტი

ა | წ. 8 სექტემბრისათვის, დილის 11 საათზე, ა | კ. კომუნისტური უნივერსიტეტის შენობაში (ტრამოლოვის ქ. № 6, ოთახი № 17) ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

უნივერსიტეტისათვის 150—200 კუბ. საუნამდე მაგარი შეშის მიწოდებაზე.

განცხადების შემოტანის დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვითარი იმის შესახებ, რომ ხაზინაში ან უნივერსიტეტის სალაროში შეტანილია ფულთ განცხადებული თანხის 5 პროცენტი. განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტში ა | კ. უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილში (ოთახი № 17) წარწერით: „ა | წ. 8 სექტემბრის საჯარო ვაჭრობისათვის შეშის მიწოდებაზე“

შეშის მიწოდების დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილში ყოველდღე დილის 10-დან დღის 1 საათამდე.

1—1 ნ. 1669. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი.

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა ს.ს.ს.რ.

შრომის სკოლათა, ტექნიკუმების და სხვადასხვათა საყურადღებოდ ცხადდება, რომ მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის ს.ს.ს.რ. სახელგამმა გამოსცა

შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. შრომა და ცოდნა—1 . . . . . 12 კ.
2. „ „ „ —2 . . . . . 12 „
3. „ „ „ —3 . . . . . 12 „
4. ხარაბაძე და დევიძე—სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია შესწორებული გამოცემა . 1—50 „
5. მასწ. ჯგუფი—ახალი ლიტერატურული ქრესტომატია მე-II ტ. . . . . 4—50 „
6. ს. გოგბაძე—ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია . . . . . 2—
7. ბ. ჟუმბურიძე—„თაიგული“ მე-4 ჯგუფის სახელმძღვ. . . . . 1—30 „
8. ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული მე-5 ჯგუფისათვის . . . 1—20 „
9. ს. იაშვილი—გეოგრაფია—ევროპა, შეერთებული შტატები და იაპონია . . .
10. ა ჩხენკელი—„ბოტანიკა“—ტექნიკუმებისათვის . . . . . .
11. ა. ჩხენკელი—„ბუნება“ I ნაწილი . . . . . .
12. ნ. შაშაძიძე—თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია . . . . . —80 „
13. ნ. შაშაძიძე—მგელაძე—არითმეტიკა შრომის სკოლაში . . . . . —80 „
14. თ. ბეგიაშვილი—კვირკველია—ქართული ენა არა ქართველთათვის (მე-II ნაწ.) —50 „
15. ტრ. და შ.—თაბუკაშვილები—„აისი“ ქართული ენის სახელმძღვანელო მე-4 ჯგუფ. 1—40 „
16. მათემატიკის ტერმინები—განმ. კომის. მიერ სავალდებულოდ დამტკიცებული . . —60 „

იბეჭდება, იკინძება და ამ დღეებში გამოვა

17. ი. ბ. ბოგველაური—ქართველი მწერლები.—I წიგნი
18. ი. ბ. ბოგველაური—ქართველი მწერლები—II წიგნი
19. ჯუბგურიძე—„ცისკარი“ ქართ. ენა მე-4 ჯგ.
20. ტრ. და შ. თაბუკაშვილები—„აისი“ ქართ. ენა მე-3 ჯგ.
21. ლოთქიფანიძე, დევიძე ხარაბაძე—არითმეტიკ. ამოცანათა კრებული მე-4 ჯგ.
22. მეტრეველი და არჯევანიძე—ქართ. ქრესტომატია მე-5 ჯგ.
23. ა. გულისაშვილი—„მანქანების ნაწილები“ ტექნიკუმებისათვის.
24. კოკლიევი—ელექტროტექნიკის დაწყებითი კურსი თარგმ. ინჟ. კაკაბაძისა—ტექნიკუმებისათვის.
25. საზანოვი და ვერხოვსკი—„ქიმიის სახელმძღვანელო“.
26. საზანოვი და ვერხოვსკი—პირველი მუშაობანი ქიმიისა.
27. მუჯირი—„არა ორგანიული ბუნება ჰაერ-მიწა-წყალი.
28. გვახარია და სხვ. „ჩეტირეხლეტკა—რუს. ენა მე-3 და 4 ჯგ.
29. ჩარქიშვილი—„მათემატიკის სახელმძღვანელო“.
30. მენნი და ტეისი—ფიზიკა—მე-8 ჯგუფი. თარგმ. სვანიძისა.
31. მასწავ. ჯგუფი. შრომა და ცოდნა—ქართ. ენა მე-3 ჯგ.
32. ლოსაბერიძე—ჰიგიენი.
33. პოლიტგანათლება სოფლად—მეტრეველი, ჩიქობავა და ღ. რუხაძე.
34. გლეხის ანბანი—სალიკვიდაციო სკოლებისათვის.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი წიგნების დაკვეთა შეიძლება ამთავითვე. დამკვეთლებს წიგნები დაუყოვნებლივ და თავის დროზე გადგზავნებათ ფოსტით. წიგნების დაკვეთისას წინასწარ უნდა იქნას გადმოგზავნილი წიგნების ღირებულების ერთი მეოთხედი.

ამას გარდა სახელგამს მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდძალი სასწავლო და საკანცელარიო ნივთები. ფასები ყოველგვარ კონკურენციის გარეშეა. შედარებით კერძო გაზართან საგრძნობლად დაკლებულია. დაკვეთა შეიძლება სახელგამის შემდეგი მაღაზიებიდან:

მაღაზია № 1. ცენტრალური საბითუმო და ნაჭრობით ვაჭრობა რუსთველის პრ. № 22 ტელ. 3-89
„ № 2. ბლესანოვის პრ. 99 ტელ. 22-11.
„ № 3. კახეთის მოედანი № 1. ტელ. 18-72.
„ № 4. თავისუფლების მოედანი № 3. საკანცელარიო ნივთების, ნოტების, სათამაშოების, ტელ. 12-72
„ № 5. ვაგზლის და გოგოლის ქუჩის კუთხე.

განყოფილებები.

ბათომი—მე-3 ინტერნაციონალის ქ. № 22 ტელ. 1-55

ახალციხეში—ბოთა რუსთაველის ქ. № ტელ.

პროვინციიდან დამკვეთლებმა უნდა მიმართონ მხოლოდ ცენტრალურ მაღაზიას.

სახელმწიფო გამომცემლობა

ნის. 1667—1—1

ტირაჟში—29.000

ეზარია ცოხტოკა-ს სტამბა, საბა წულუკიძის ქ. № 4